პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ფასი 10 კაპ

კვირა
29
ივლისი
1934 წ.
№ 174 (4030)

დღეს ნომერში

- იტალიამ ავსტრიის საზღვარზე გაგზავნა 40 ათასი ჯარისკაცი.
- სახელმწიფოების შეთანხმება დემარშის შესახებ ბერლინში.
- საფრანგეთ - იტალიის პრესა მკაცრად ილაშქრებს გერმანიის წინააღმდეგ.
- პაპენი დაინიშნა გერმანიის ელჩად ვენაში.
- ხეიმვერებსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის შეტაკებანი გრძელდება.
- აჯანყება მანჯოუ-გოს ჯარებში.
- გრანდიოზული საჰაერო მანევრები იაპონიაში.
- დარბაზობა საბჭოთა კავშირის ლონდონის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.
- მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების დელეგაცია გაფრინდა ვარშავაში.
- მარგანეცის პროდუქციის გამომუშავების გეგმა 26 ივლისს შესრულდა 104,9 პროც.

საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა

28 ივლისი „პრავდას მოწინავე

15 აგვისტოს გაიხსნება საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა. ჩვენი ქვეყნის მხატვრულ სიტყვის ოსტატები უდიდესი პროლეტარული მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მეთაურობით უცხო ქვეყნების რევოლუციური ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ ყრილობაზე საბჭოთა ხელოვნების და ლიტერატურის განვითარების პრობლემებს.

ყრილობა, რომელიც ორგანიზაციულად აგვირგვინებს ორი წლის მუშაობას საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნისათვის, ამასთან ერთად წარმოადგენს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას, როგორც საბჭოთა ქვეყნის ახალი კულტურის უდიდესი ზრდის მაჩვენებელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სოციალიზმის დიდ ქვეყანაში შეიძლება მოწვეულ იქნას ასეთი ყრილობა — ახალგაზრდა, სწრაფად მზარდი, იდეურ[illegible]რით მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე ლიტერატურის შემქმნელთა და შემოქმედთა ყრილობა.

გადახედეთ, როგორია ლიტერატურის მდგომარეობა კაპიტალიზმის ქვეყნებში, ლიტერატურის, რომელსაც აქვს განვითარების და კულტურულ ღირებულებათა დაგროვების საუკუნეობრივი ისტორია და რომლის განკარგულებაშიც მოიპოვებიან მეცნიერთა, მწერალთა და პოეტთა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კადრები.

საშუალო საუკუნეების მოგიზგიზე კოცონები, რომლებზედაც სწვავენ საუკეთესო კლასიკურ და ყველაზე უფრო მოწინავე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს, ომის და რასიული სიძულვილის ქადაგება, გასისხლიანებული ნაჯახის ქება-დიდება — აი ფაშისტური კულტურის „აყვავების“ მკაფიო მაჩვენებლები.

აზრის, შინაარსის და ფორმის ლპობის და რღვევის აშკარად გამოხატული პროცესი, ქმუნვის, სასოწარკვეთილების, გამოუვალი ჩიხის იდეებისა და განწყობილებების საყოველთაო გავრცელება, აშკარა პორნოგრაფიის აყვავება ახასიათებენ კაპიტალისტური ევროპის ოდესღაც ბრწყინვალე და მდიდარი ლიტერატურის მდგომარეობას.

კაპიტალიზმის მწუხრი, მისი საშინელი კრუნჩხვა — აუცილებელი აღსასრულის მრისხანე წინამორბედნი, მისი საომარი ისტერიკა—გადაიქცენ ბურჟუაზიული ლიტერატურის მწუხრად, კრუნჩხვად, ისტერიკად. და შემთხვევითი როდია, რომ უცხო ქვეყნების ყველაზე უფრო ნიჭიერი, ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი და პატიოსანი მწერლები მოილტვიან საბჭოთა კავშირისაკენ, აქ ეძებენ პასუხს „წყეულ კითხვებზე“ და ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებაზე სწავლობენ კაცობრიობის ისტორიული გზების შეცნობას.

გამარჯვებული პროლეტარიატის უდიდეს საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრება მჩქეფარე, ლაღი და მაღალი იდეებით აღსავსეა. მძლავრად იზრდებიან საზოგადოების განთავისუფლებული საწარმოო ძალები; ყველა სიძნელის და დაბრკოლებათა გადალახვით პროლეტარიატმა შექმნა მოწინავე სოციალისტური მრეწველობა და მსოფლიოში ყველაზე დიდი სოფლის მეურნეობა. ამასთან იგი აერთიანებს მრავალერიან ხალხთა მასებს და ფართოდ შლის კულტურულ მშენებლობას. სწორედ ამიტომ იზრდება და მტკიცდება პროლეტარული ლიტერატურა, სწორედ ამ ბაზაზე მოხდა უპარტიო მწერალთა მასების მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

პროლეტარიატი, ახალგაზრდა, მხნე, შემოქმედებითი სიხარულით და ამოუწურავი ძალებით აღსავსე კლასი — მხოლოდ იგი წარმოადგენს ჩვენს ეპოქაში ახალი კულტურის, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის, მაღალი იდეებით აღსავსე ხელოვნების მატარებელს. მხოლოდ მისი ბატონობა უზრუნველყოფს ნამდვილ პროგრესს კაცობრიობის კულტურის ყველა დარგში. და არავის არ ეჩვენება უცნაურად, რომ მწერალთა ყრილობას—ამზადებს მთელი ქვეყანა. პარტაქტივის, მუშათა და კოლმეურნეთა ათობით და ასობით კრებებზე, პარტიულ კონფერენციებზე და მუშათა, კოლმეურნეთა და წითელარმიელთა ლიტერატურული წრეების წევრთა მრავალათასიან მასებს შორის ხდება ლიტერატურის საკითხების განხილვა.

მასები მოითხოვენ საერთაშორისო პროლეტარიატის გმირული ბრძოლით, სოციალიზმის გამარჯვების პათოსით გაჟღენთილ მაღალ მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც გამოხატავს კომუნისტური პარტიის უდიდეს სიბრძნეს და გმირობას. მათ უნდათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც მკითხველს აგრძნობინებს დიდ მხატვრულ სიამოვნებას, წარმოშობს სამხიარულო და ბედნიერ გრძნობებს, სიამაყეს ჩვენი ისტორიული საქმისათვის, დახმარებას გაუწევს მათ ბრძოლასა და შენებაში, ჩვენი ნაკლის და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვაში. ამაშია სოციალიზმის მხატვრული ლიტერატურის უდიდესი დანიშნულება.

ჩვენი მწერლები საკავშირო ყრილობაზე მოდიან მრავალი წარმატებებით და გამარჯვებით. საბჭოთა მწერლები ლიტერატურის საშუალებებით უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან სოციალიზმისათვის ბრძოლაში, უფრო და უფრო ხშირად გამოდის მკაფიო და ნიჭიერი ნაწარმოებნი, რომლებშიც სწორად არის გაგებული და მხატვრულად განხორციელებული სოციალიზმის მშენებლობის იდეა და პრაქტიკა.

ათობით და ასობით მწერლები შეიჭრნენ ცხოვრების თვით სიღრმეში, აგროვებენ ცხოვრების გამოცდილებას და მასალას თავისი ნაწარმოებებისათვის, ამასთან ისინი უშუალოდ უახლოვდებიან ჩვენი ეპოქის ახალ შესანიშნავ ადამიანებს — მებრძოლებსა და მშენებლებს. კომუნისტი—მწერლები შემჭიდროებულად მოდიან ყრილობაზე და, როგორც ეს აღნიშნულია „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ამხ. იუდინის წერილში, შემოქმედების მხრივ მომწიფებულ ძალას წარმოადგენენ.

მძლავრ ნაკადად მოდიან ლიტერატურაში ახალგაზრდა ძალები მშრომელთა რიგებიდან, ცდილობენ დაძაბულ სწავლაში დაეუფლენ ლიტერატურული ოსტატობის მწვერვალებს. ახალი ნიჭიერი ადამიანებისათვის, რომლებიც კულტურული რევოლუციის გაქანებით წარმოიშვენ ხალხთა მასებიდან, შექმნილია სწავლის და შემოქმედების ხელსაყრელი პირობები.

მტკიცდება და აქტიური ხდება კავშირი მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატურას შორის. ისტორიაში უმაგალითო პირობებია შექმნილი იმ ხალხთა ლიტერატურის თავისუფალი განვითარებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ ცოტახნის წინათ ჩაგრავდა ცარიზმი, ფორმით მრავალერიანმა, სოციალისტური მშენებლობის სამსახურსადმი მისწრაფებაში მთლიანმა ჩვენმა ლიტერატურამ უკანასკნელ დროს სერიოზულად დააყენა მწერლის სწავლების კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების საკითხები, მკაფიო, ლამაზი და ზუსტი ენის საკითხები — ლიტერატურის ხარისხის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ჩვენი ქვეყნის უდიდესმა მწერლებმა უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს თანამედროვე კულტურის — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ფილოსოფიის მწვერვალების დაუფლების საქმეში.

მაგრამ ჩვენი ლიტერატურა მაინც ვერ უპასუხებს მთლიანად იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს სოციალიზმის ეპოქა, რომელიც ყოველ საათობით აფართოებს მკითხველთა მილიონების კულტურულ მსოფლმხედველობას. სოციალიზმის ეპოქა და მისი ადამიანები გაუმაძღარი არიან თავისი მოთხოვნილებებით მეცნიერებისა და ტექნიკისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. ვინაიდან ისინი ახდენენ მსოფლიოს გარდაქმნას და პოულობენ ადამიანის მოღვაწეობის ყველა ფორმის სრულყოფის დაუსრულებელ გზებს.

ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ჩამორჩება საბჭოთა კულტურის სხვა დარგების ზრდასთან შედარებითაც. მას ჯერ კიდევ არ შეუქმნია ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოებნი, გამარჯვებული სოციალიზმის ძალებისა და ადამიანების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის გმირებისა და წინამძღოლების შესახებ, იმ ახალი საზოგადოების ძლიერების შესახებ, რომელიც მოდის კაცობრიობის სისხლიანი და ჭუჭყიანი წინაისტორიის შესაცვლელად, ნაწარმოებნი, რომლებიც შეაზანზარებენ ადამიანებს და კაშკაშა შუქურად აღენთებიან მათ შეგნებაში.

განსაკუთრებით სუსტია ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, რომელსაც ხშირად არ ძალუძს მიუდგეს წიგნს, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს. კერძოდ, კომუნისტ-კრიტიკოსებს ყოველთვის როდი შესწევთ უნარი დაიყვანონ ნაწარმოების შინაარსი ფართო მკითხველი მასების შეგნებამდე, გაშალონ მკითხველის წინაშე ლიტერატურული სახეობის აზრი, დაეხმარონ მას წიგნის სწორად შეფასებასა და ამორჩევაში და იქ, სადაც ეს საჭიროა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ კრიტიკის უმართებულო, არამარქსისტულ ტენდენციებს. ამგვარადვე ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ამჩნევს უცხო და მტრულ ტენდენციებს, რომლებიც გამოსჭვივიან ჩვენი ლიტერატურის ცალკეულ ნაწარმოებებში — ტენდენციებს, რომლებსაც ნიღბავენ ხან ათასგვარი სიტყვიერი ხრიკებით, ხან ვულგარული შემგუებლური პოლიტიკური რახა-რუხით.

ჩვენმა პარტიამ და ამხ. სტალინმა საბჭოთა ლიტერატურას უჩვენეს ის გზები, რომლებზედაც მას მოელის უდიდესი მიღწევანი და გამარჯვებანი,—ეს არის სოციალისტური რეალიზმის—საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის და ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი მეთოდის—გზები. სოციალისტური რეალიზმი მხატვრისაგან მოითხოვს სინამდვილის სწორ, ისტორიულად კონკრეტულ გამოხატვას მის რევოლუციურ განვითარებაში.

ჩვენს პარტიას პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით მშრომელებისათვის მოაქვს ყველაზე უფრო პროგრესიული და რევოლუციური მსოფლმხედველობა — ლენინიზმი. სოციალისტური რევოლუციის გუთნებით გადახნული ჩვენი ქვეყანა ყოველდღე წარმოშობს ახალ ნიჭიერ ადამიანებს, იგი ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილს უნერგავს მშენებელთა და შემოქმედთა უდიდეს მასებს. განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენი ლიტერატურა, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება და ყვავის, გადაჭრის მის წინაშე დასახულ ამოცანებს?

მწერალთა მომავალი ყრილობა იქნება ამ ზრდის მძლავრი სტიმული, გამოსავალი წერტილი სოციალისტური ლიტერატურის ახალი მიღწევებისა და გამარჯვებებისათვის. ამაშია მისი ნამდვილი მსოფლიო მნიშვნელობა.

წარმატებით ხორციელდება ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც დაწერილია თითქმის 30 წლის წინად.

„ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელთა თანაგრძნობა მიიზიდავენ მის რიგებში ახალ და ახალ ძალებს. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი მომსახურებას გაუწევს არა გულმოყირჭებულ გმირ ქალს, არა სიმსუქნისაგან მოწყენილობით და კაეშნით შეპყრობილ „ზედაფენების ათი ათასობით წარმომადგენელს“, არამედ მშრომელთა მილიონებს და ათეულ მილიონებს, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მარილს, მის ძალას, მის მომავალს“.

სრული დატვირთვით ვამუშაოთ თვითეული სალეწი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დაავალა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, პოლიტგანყოფილებებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს გაშალონ პურის ლეწვა „უკვე მოსავლის აღების პირველ დღეებიდან, დააწესონ თვითეული სალეწი მანქანისათვის პურის ლეწვის ყოველდღიური ნორმა და უზრუნველყონ სალეწი მანქანების მიერ ლეწვის დაწესებული ნორმის აუცილებლად შესრულება“.

მოსავლის აღებისა და მისი გალეწვის ცნობები, რომელიც დღეს „კომუნისტში“ ქვეყნდება, მოწმობენ, რომ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული უმნიშვნელოვანესი დირექტივა არ ტარდება ცხოვრებაში საჭირო სიმტკიცით. ლეწვის მკვეთრად ჩამორჩენა მოსავლის აღების ტემპისაგან, რაც შემჩნეული იყო მოსავლის აღების დაწყებიდანვე, დღემდე გრძელდება. ამას ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტები: 25 ივლისისათვის კოლმეურნეობებს გალეწილი ჰქონდათ მთელი აღებული მოსავლის 35 პროცენტი, ერთპიროვნულ მეურნეებს კი გალეწილი ჰქონდათ აღებული მოსავლის მხოლოდ 24 პროცენტი. კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს მთელს რესპუბლიკაში გალეწილი ჰქონდათ აღებული მოსავლის 28 პროცენტი.

ლეწვის დანაშაულებრივი გაჭიანურების ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს სალეწი აგრეგატების უხეირო გამოყენება, სალეწების რემონტის შეუწყნარებლად ცუდი ხარისხი, სალეწებზე მომუშავეთა მეტად დაბალი კვალიფიკაცია, დისციპლინის სისუსტე და შრომის მოუწესრიგებლობა სალეწ პუნქტებში.

ავიღოთ მაგალითისათვის საგარეჯოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მდგომარეობა. აღნიშნული სადგურის განკარგულებაში არის 10 სალეწი. ამ მანქანების მაქსიმალური დატვირთვისა და აგრეთვე ადგილობრივი პრიმიტიული საშუალებების სწორად გამოყენების პირობებში რაიონს აქვს საშუალება ადრე დაამთავროს ლეწვა და ვადამდე შეასრულოს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დავალებები.

ფაქტიურად იქ ჩვენ გვაქვს სერიოზული ჩამორჩენა ლეწვაში. მიმდინარე რემონტისა და [illegible] საწვავ-საცხები მასალის უქონლობის გამო, საგარეჯოს რაიონში ათი სალეწი მთლიანად გაჩერებული იყო 24—26 ივლისამდე. ამ სადგურის დირექტორმა ამხ. ულენტმა საწვავ-საცხები მასალის მიწოდების შესახებ სათანადო ცენტრალურ ორგანიზაციებს მოთხოვნა მაშინ წარუდგინა, როდესაც საწვავის ყოველგვარი მარაგი უკვე ამოწურული იყო. სინამდვილეში კი შეიძლებოდა ამ მოთხოვნის დროზე წარდგენა და გახურებულ მუშაობის დროს სალეწების გაცდენის აცილება.

დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა გორის რაიონშიც. არც ერთი სალეწი, რომელიც გორის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის განკარგულებაშია არ მუშაობს სრული დატვირთვით. ანდა როგორ შეიძლება გორის რაიონის სალეწ პუნქტებში ნაყოფიერი მუშაობის იმედი ვიქონიოთ, როდესაც იქ ტრაქტორისტები და მემანქანეები რიგიანად არც კი იცნობენ გამომუშავების ნორმებს და არ იციან თუ რას მიიღებენ დამკვრელური მუშაობისათვის.

სწორედ ამიტომაა, რომ გორის რაიონის სოფელ არხილოში მომუშავე სალეწი (ბრიგადირი ბატონიშვილი) დღე-ღამეში 20 საათის ნაცვლად მუშაობს მხოლოდ 3—5 საათს და გეგმით მიცემულ 150 ცენტნერის ნაცვლად დღეში ლეწავს 8 ცენტნერიდან 30 ცენტნერამდე. ყოველივე ეს იცის სატრაქტორო სადგურის დირექტორმა ამხ. სიხარულიძემ, მაგრამ მას დღემდე არ მიუღია რაიმე ეფექტიური ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სალეწი მეტად სათუთი მანქანაა. სალეწი აგრეგატის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას, დაჭიმულ მუშაობას, მანქანის თვითეული დეტალისადმი ფხიზელ მეთვალყურეობას. მომუშავეთა კადრების გულდასმით შერჩევას და შრომის ისეთ ორგანიზაციას, რომ თვითეული მუშა დაინტერესებული იყოს სალეწის შეუფერხებელი, მაღალხარისხოვანი მუშაობით.

სინამდვილეში კი ზოგან სალეწებზე [illegible] ყველას, ვინც მათზე მუშაობის სურვილს განაცხადებს. ამას მოსდევს ხშირი დაზიანება. მანქანის „კაპრიზები“, დიდი დანაკარგები და ლეწვის გაჭიანურება.

დროა სალეწი პუნქტებისადმი უყურადღებობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. დროა ამ საქმეს მიაქციონ სერიოზული ყურადღება პარტრაიკომებმა, პოლიტგანყოფილებებმა და განსაკუთრებით რაიმიწგანებმა. დროა ეს პუნქტები გაიწმინდოს საქმის უცოდინარებისაგან, მიტმასნილი, შემთხვევითი ელემენტებისაგან და ამ პუნქტების ხელმძღვანელობა დაეკისროს კომუნისტებს, მოწინავე კოლმეურნეებს და სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტ-მექანიზატორებს.

თავდაპირველად საჭირო იქნება სალეწი მანქანების მუშაობის პროცესშივე შეკეთება. ამისათვის კი აუცილებელია სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ინჟინერ-ტექნიკოსების გადასროლა მინდვრებში გარკვეულ პუნქტებზე მიმაგრებით ლეწვის დამთავრებამდე. საჭიროა მოძრავი საველე სარემონტო სახელოსნოების მოხერხებულად მოწყობა, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლებოდეს სალეწის მიმდინარე რემონტის ადგილზევე ჩატარება.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს შემდეგი: ლეწვის წარმატება მთლიანად დამოკიდებულია ცოცხალი ადამიანისაგან, იმ მუშაკების მონდომებისა, შრომითი ენტუზიაზმისა და წახალისებისაგან, რომელნიც სალეწ აგრეგატებზე მუშაობენ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად, „სეზონში სალეწი მანქანისათვის დაწესებული დავალების გადაჭარბებით შესრულების დროს, შეფასება დავალების ზევით გალეწილი თვითეული ტონა პურისათვის მემანქანეებს და მწონავეებს უდიდდებათ 15 პროცენტით“.

ც. კ-ის დადგენილების ეს მუხლი უნდა გავაცნოთ სალეწი პუნქტის მუშაკებს და მტკიცედ უნდა გავატაროთ ყველა სალეწ აგრეგატზე. დაუყონებლივ მოვიყვანოთ სრულ წესრიგში ყველა სალეწი პუნქტი, მივაღწიოთ თვითეული სალეწი მანქანის შეუფერხებელ და მაქსიმალური დატვირთვით მუშაობას, დავამყაროთ მტკიცე წესრიგი და დისციპლინა სალეწებთან, გავაჩაღოთ სოცშეჯიბრება სალეწ ბრიგადებს შორის, დავამთავროთ ლეწვა მაქსიმალურად მოკლე ვადაში და უზრუნველყოთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა დროულად შესრულება.

მდგომარეობა ავსტრიაში

იტალია, საფრანგეთი და ინგლისი აფრთხილებენ გერმანიას

იტალია-ავსტრიის საზღვარზე თავმოყრილია

იტალიის 40 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი

ლონდონი, 27 ივლისი. რომიდან მიღებული ცნობებით, იტალიის 40 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი დარჩება ავსტრიის საზღვარზე მანამ, სანამ არ დამყარდება ნორმალური მდგომარეობა. ამას გარდა, სალაშქროდ გამზადებული 100 ათასი ჯარისკაცი იმყოფება ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიაში, სადაც ემზადებიან ყოველწლიური მანევრებისათვის, რომელიც 1 აგვისტოს დაიწყება. (ადს).

პარიზი, 27 ივლისი. გაზეთებს რომიდან ატყობინებენ, რომ ავსტრიის საზღვარზე, ბრენერის და კარინტიის რაიონებში გაიგზავნა ოთხი დივიზია, სულ მცირე 32 ათასი კაცის რაოდენობით.

„ეკო დე პარი“ ფიქრობს, რომ ამ ჯარების რაოდენობა საგრძნობლად უფრო მეტია, ვინაიდან იტალიაში ამჟამად ნამდვილ სამხედრო ბეგარას ორი გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობა იხდის. (ადს).

სახელმწიფოების შეთანხმება დემარშის შესახებ ბერლინში

ვენა, 27 ივლისი. როგორც „ნეიე ფრეიე პრესეს“ რომის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომის პოლიტიკურ წრეებში იმ აზრის არიან, რომ ჩეხოსლოვაკია და სხვ. ქვეყნები დათანხმდებიან იმაზე, რომ იტალიის ჯარი საჭიროების შემთხვევაში, შევიდეს ავსტრიაში.

„რეიხსპოსტის“ კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ რომსა, ლონდონსა და პარიზს შორის მიღწეულია შეთანხმება სახელმწიფოთა სერიოზული დემარშის შესახებ ბერლინში, „მიუხედავად იმისა, აღიარებს თუ არა გერმანიის მთავრობა თავის მორალურ და მატერიალურ პასუხისმგებლობას ავსტრიის ამბებისათვის“. (ადს).

განახლდა ბრძოლა ხეიმვერელებსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის

ლონდონი, 27 ივლისი. „ივნინგ სტანდარტის“ ვენელი კორესპონდენტის გადმოცემით, დღეს ვენაში გათენებისას მიღებულ იქნა ცნობები ავსტრიის რაიონებში ხეიმვერსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის შეტაკების განახლების შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, ქუჩაში მოძრაობას ხშირად არღვევენ სამხედრო სატვირთო მანქანები, რომლებითაც გადაყავთ ჯარი სასოფლო რაიონებში, სადაც ნაციონალ-სოციალისტებმა შექმნეს თავისი დასაყრდენი პუნქტები.

სერიოზული ბრძოლა წარმოებს აღმოსავლეთ ტიროლში, საითკენაც გაგზავნეს ხეიმვერის რაზმები იქ მყოფი ჯარების დასახმარებლად.

ბრძოლა წარმოებს კარინტიაშიც. დონავიცში (შტირია) ნაციონალ-სოციალისტები ინარჩუნებენ თავის პოზიციებს. ხეიმვერის ცნობებით, ზემო და ქვემო ავსტრიაში ნაციონალ-სოციალისტები დაამარცხეს. ხეიმვერის წრეებიდან იტყობინებიან, რომ კლაგენფურტში (კარინტია) ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის ბინაზე ხეიმვერის წევრებმა აღმოაჩინეს გადატრიალების გეგმები, რომლებიც გულდასმით იყო დამუშავებული.

დღეს გაიცა ბრძანება ვენაში ხეიმვერის მთელი ძალების მობილიზაციის შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, ამბოხების დროს მოკლულია 150 კაცი. (ადს).

მდგომარეობა შტირიასა და კარინტიაში

ლონდონი 27 ივლისი. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის გადმოცემით, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების მიუხედავად, რომ კარინტიაში (ავსტრიის პროვინცია) მდგომარეობის ბატონ-პატრონი მთავრობის ჯარია, საქმესთან კარგად გაცნობილ ვენის წრეებში მდგომარეობას ამ პროვინციაში სერიოზულად სთვლიან, ვინაიდან კავშირგაბმულობის ყველა საშუალებანი ხელთ იგდეს ნაციონალ-სოციალისტებმა. (ადს).

რუზველტის დეპეშა ავსტრიის პრეზიდენტს

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. რუზველტმა ავსტრიის პრეზიდენტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს მწუხარებას და აღშფოთებას დოლფუსის მოკვლის გამო.

გაზეთები ბრალს სდებენ გერმანიას იმაში, რომ იგი მხარს უჭერდა პუტჩს და აღნიშნავს, რომ ამით იგი ქმნის სერიოზულ საერთაშორისო გართულებას.

„ვაშინგ[illegible] პოსტი“ აცხადებს, რომ საერთაშორ[illegible] მშვიდობიანობა ბეწვზე ჰკიდია“. (ადს).

25—26 ივლისის დღეები ავსტრიაში

რომი, 27 ივლისი. ირკვევა, რომ იტალიის ჯარები დასძრეს საზღვრისაკენ უკვე 25 ივლისს, 16 საათზე, ე. ი. მაშინვე, როცა კი მიიღეს ცნობა ნაციონალ-სოციალისტური პუტჩის და დოლფუსის მოკვლის შესახებ. როგორც იტალიური პრესის ცნობებიდან ჩანს, 25-26 ივლისის დღეებს ავსტრიაში არც ისე წყნარად ჩაუვლია, როგორც ამას ავსტრიის ოფიციალური წყაროები გვიხატავენ. ათობით ითვლიან ქალაქებს, დაბებს და სოფლებს, განსაკუთრებით ზემო შტირიაში, სადაც ხდებოდა შეტაკებანი ნაციონალ-სოციალისტებსა, პოლიციასა და ჯარებს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში პირველად ნაციონალ-სოციალისტები იმარჯვებდნენ. ამ ფაქტების მიხედვით „პიკოლო“ იტალიის მიერ მიღებულ სამხედრო ზომებს ხსნის იმით, რომ აუცილებელია მზად ვიყოთ „პირდაპირი ჩარევით მივცეთ პასუხი ყოველგვარ შემთხვევას“. (ადს).

პანიკა ნიუ-იორკის ბირჟაზე

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. ავსტრიის ამბებმა, სახელმწიფოს შიგნით არახელსაყრელ ეკონომიურ პერსპექტივებთან ერთად, დღეს გამოიწვია ფასიანი ქაღალდების მასობრივად გამოტანა ბირჟაზე. ძლიერ დაეცა ავსტრიის, გერმანიის და იტალიის ფასიანი ქაღალდების კურსი. საგრძნობლად ეცემა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სარკინიგზო აქციების კურსი. როცა გავრცელდა სენსაციური ხმები, რომ იტალიის ჯარებმა გადალახეს ავსტრიის საზღვარი, დაიწყო პანიკა. გამოტანილია 3 მილიონ ნახევარზე მეტი აქცია—სარეკორდო ციფრი უკანასკნელ თვეებში. აქციების კურსი, ისე როგორც საქონლის ფასები, დავიდა ყველაზე უფრო დაბალ დონემდე 1933 წლიდან (ადს).

აჯანყებანი მანჯოუ-გოს ჯარებში

შანხაი, 27 ივლისი. „გელაის“ სააგენტოს ცნობით, მანჯოუგოს ჯარის ნაწილების 400 კაცი, რომელიც დაბანაკებულია ინკოუში, აჯანყდა მას შემდეგ, როგორცკი იაპონელების მიერ დაპატიმრებულ იქნა მათი უფროსი პარტიზანებთან კავშირის ბრალდების გამო. მათ განაიარაღეს ქალაქის განაპირა ადგილებში მდგომი 100 იაპონელი ჯარისკაცი. ბევრია მოკლული, მათ შორის ოფიცრებიც.

იუწყებიან 300 მანჯურელი ჯარისკაცის აჯანყებას ფიშუნში. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს და განაიარაღეს იაპონიის გარნიზონი ანდუში.

ძირინის პროვინციაში პარტიზანების თავდასხმის დროს აჯანყდა მანჯურიის ჯარისკაცთა ასეული, ისინი შეუერთდნენ პარტიზანებს, მოკლეს რამდენიმე იაპონელი ოფიცერი და წავიდნენ მთებში (ადს).

საბჭოთა კავშირი და იაპონია

იაპონიის მოსკოვის საელჩოს მრჩევლის ბ. საკოს განცხადება

მოსკოვი, 27 ივლისი. 26 ივლისს იაპონიის საელჩოს მრჩეველმა მოსკოვში ბ. საკომ იაპონიის ელჩ ოტას სახელით მიმართა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის მეორე განყოფილების გამგის მოვალეობის აღმასრულებელს ამხ. იუშკევიჩს განცხადებით იმ კორეელი კიმ ზაენის საქმის გამო, რომელიც მსჯავრდადებულია ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობისათვის რკინიგზის ტრანსპორტზე (ა.-წ. 24 ივლისის „იზვესტია“ № 171-5419 ან „პრავდა № 202-6088). ბ. საკომ, რომელიც ემყარება განაჩენის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობაში არსებულ მითითებას, რომ კიმ ზაენი ჩამოვიდა მანჯურიიდან, რის გამო, მისი აზრით. იგი იაპონიის ქვეშევრდომი უნდა იყოს, განაცხადა, რომ თუ კიმ ზაენი ნამდვილად იაპონიის ქვეშევრდომია, მაშინ საელჩო აყენებს საკითხს — გააცნონ იგი ბრალდებას და ნება დართონ საელჩოს წარმომადგენელს ინახულოს მსჯავრდადებული.

27 ივლისს ამხ. იუშკევიჩმა აცნობა ბ. საკოს, რომ მანჯურიიდან ჩამოსულმა კიმ ზაენმა 1928 წლის 5 სექტემბერს შემოიტანა განცხადება საბჭოთა კავშირის მოქალაქედ მიღების შესახებ და რომ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის 1929 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით იგი მიღებულია საბჭოთა მოქალაქედ, რის გამო იაპონიის საელჩოს მიერ დასმული საკითხი იხსნება. (ადს).

გრანდიოზული საჰაერო მანევრები იაპონიაში

ტოკიო, 26 ივლისი. დღეს იაპონიის დასავლეთ სანაპირო ზოლში დაიწყო გრანდიოზული საჰაერო მანევრები, რომლებიც მოიცავენ 8 პრეფექტურას, მათ შორის ოსაკას, კობეს და კიოტოს უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებს. მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ ყველა სახის ჯარი და მრავალი თვითმფრინავი, რომლებიც ახდენენ რაიონის უმნიშვნელოვანესი ცენტრებისათვის ყუმბარების დაშენის დემონსტრაციას. სამხედრო ნაწილებთან ერთად მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ სპეციალურად გაწვრთნილი სამოქალაქო პირები. მანევრების თემა ასეთია: „ერთერთ სახელმწიფოსთან მოხდა უთანხმოება, რომლის გადაჭრაც შეუძლებელია დიპლომატიური საშუალებებით. იმის გამო, რომ აუცილებელია მტრის საჰაერო ფლოტის თავდასხმა, ხელისუფლების წარმომადგენლებს და რაიონის სამოქალაქო მოსახლეობას მოუწოდებენ არმიასთან თანამშრომლობისაკენ“. (ადს).

დარბაზობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ლონდონში

ლონდონი, 26 ივლისი. გუშინ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი **საიმონი**, ვაჭრობის მინისტრი **რენსიმენი** და შრომის მინისტრი **სტენლი**. დიპლომატიური კორპუსიდან დაესწრნენ გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის, პოლონეთის, ავღანისტანის, საუდის (გეჯასი), აბისინიის, ირაქის და სხვ. ელჩები (ადს).

დახვრეტა „მიხაკისფერი წიგნის“ კითხვისთვის

პარიზი, 25 ივლისი. „ინპრესის“ სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის საიდუმლო პოლიციის უფროსმა გიმლერმა დაგზავნა საიდუმლო ცირკულიარი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მეორე „მიხაკისფერმა წიგნმა“ ფართო გავრცელება პოვა გერმანიაში.

მოიერიშე რაზმების წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის უკანასკნელ ამბებში, — ნათქვამია ცირკულიარში, არა მარტო კითხულობენ ამ წიგნს, არამედ ავრცელებენ მას მოსახლეობას შორის. გიმლერის ცირკულიარი მოითხოვს იმ პირთა ადგილობრივ დახვრეტას, რომლებსაც აღმოაჩნდებათ მეორე „მიხაკისფერი წიგნი“. (ადს).

პაპენი დაინიშნა გერმანიის ელჩად ვენაში

ბერლინი, 27 ივლისი. გერმანიის ელჩად ვენაში, იქიდან გამოწვეული რიტის ნაცვლად, დაინიშნა პაპენი, რომელიც ამავე დროს განთავისუფლებულია ვიცე-კანცლერის და საარის ოლქის კომისრის თანამდებობისაგან.

ჰიტლერმა პაპენს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ვენაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, მე იძულებული გავხდი წინადადება მიმეცა პრეზიდენტ ჰინდენბურგისათვის გამოიწვიოს გერმანიის ელჩი ვენაში რიტი იმის გამო, რომ რიტი ავსტრიის მინისტრების და ავსტრიელ აჯანყებულთა თხოვნით გერმანიის მთავრობისათვის წინასწარ შეუტყობინებლად დასთანხმდა განეხორციელებია ავსტრიის მთავრობისა და აჯანყებულებს შორის მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ აჯანყებულები დაუბრკოლებლივ შესულიყვნენ გერმანიაში. ამით ელჩმა გერმანია სრულიად უმიზეზოდ ჩაება ავსტრიის შინაურ საქმეებში. ავსტრიის კანცლერზე თავდასხმამ, რასაც უმკაცრესად გმობს გერმანიის მთავრობა, კიდევ უფრო გაამწვავა ევროპის ისედაც არამტკიცე პოლიტიკური მდგომარეობა. ამიტომ მე მსურს შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყო საერთო მდგომარეობის დაძაბულობის შესუსტებას და, კერძოდ, ავსტრიის სახელმწიფოსთან ურთიერთობა, რომელიც დიდ[illegible] ხანია წამხდარია, კვლავ დავაყენო ნორმ[illegible]ლურ და სამეგობრო გზაზე.

ამის გამო გთხოვთ თქვენ, ბ-ნო პაპ[illegible] [illegible]კისროთ ეს დიდად მნიშვნელოვანი ა[illegible]ცანა, ვინაიდან კაბინეტში ჩვენი თა[illegible]შრომლობის მომენტიდან თქვენ სარ[illegible]ლობდით და სარგებლობთ ჩემი სრ[illegible] და განუსაზღვრელი ნდობით. ამიტ[illegible] წინადადება მივეცი პრეზიდენტ ჰ[illegible]ბურგს, რათა თქვენ განსაზღვრული [illegible]ით განსაკუთრებული მისიით იქნ[illegible]ნიშნული გერმანიის ელჩად ვენაში [illegible]ვე დროს გამოხვიდეთ გერმანიის მთავრობის შემადგენლობიდან და განთავისუფლდეთ საარის ოლქის კომისრის თანამდებობისაგან.

ვენაში ელჩის თანამდებობაზე ყოფნის დროს თქვენ უშუალოდ მე დამემორჩილებით“. (ადს).

„ბერლინერ ტაგებლატის“ კომენტარიები

ბერლინი, 27 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატი“ კომენტარიებში პაპენის ელჩად დანიშვნის გამო, გერმანიის მთავრობის ამ ნაბიჯს სთვლის უდიდეს ცვლილებად ავსტრია-გერმანიის ურთიერთობაში. გაზეთი პირდაპირ აცხადებს, რომ მიზეზი, რომელმაც აიძულა გერმანიის მთავრობა აეღო ეს ახალი კურსი ავსტრია-გერმანიის ურთიერთობაში, მდგომარეობს იმაში, რომ „ავსტრია-გერმანიის კონფლიქტი გადაიქცა მთელი ევროპის საკითხად“. მან ზომაზე მეტად გაადიდა ისედაც საკმაოდ მძიმე ტვირთი გერმანიის სახელმწიფოს მხრებზე და სწორედ განსაკუთრებით საგრძნობ ადგილზე. ეს სულ უფრო და უფრო მეტ [illegible] აყენებდა ჩვენს ურთიერთობას იტა[illegible] საზოგადოებრივი აზ[illegible]ადგა“. (ადს). [illegible] აღნიშნავ[illegible]

იტალიის პრესა [illegible]

ავსტრიელი ფაშისტების მიერ [illegible]

რომი, 27 ივლისი. ავსტრიის ამბებმა აქ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ოფიციალურად იუწყებიან, რომ **იტალიის ქვეითი და საავიაციო ნაწილები გაგზავნეს უშუალოდ ავსტრიის საზღვრისაკენ ბრენერთან და კარინტიის რაიონში.** ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს ძალები საკმარისია იმისათვის, რომ შეხვდენ ყოველგვარ მოულოდნელობას. ამასთან ერთად ცნობაში ნათქვამია, რომ, როცა ავსტრიაში მოხდება მდგომარეობის ნორმალიზაცია, საქმე გამაფრთხილებელ ზომებს არ გასცილდება.

„ლავორო ფაშისტა“ ფაქტებით და ციტატებით ამტკიცებს, რომ გერმანიის ხელმძღვანელმა პოლიტიკურმა წრეებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მზადდებოდა პუტჩი.

„ფელკიშერ ბეობახტერი“, — წერს „ლავორო ფაშისტა“, — ჯერ კიდევ 23 ივნისიდან ავრცელებდა ხმებს დოლფუსის მაგივრად რინტელენის დანიშვნის შესახებ. იგივე გაზეთი 23 ივლისს წერდა, რომ „აბსოლუტურად სანდო წყაროებიდან იუწყებიან, რომ არსებობს ვენის მთავრობის დაწესებულებათა წინააღმდეგ სერიოზული თავდასხმების მომზადების გეგმა, რაც წარმოადგენს „ უმაგალითო შემთხვევას ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიაში“.

მძლ[illegible] დოლფუსის [illegible] იქნება „უკიდურესი [illegible] როპის ერთერთ დედაქალაქში, [illegible] დებს „ლავორო ფაშისტა“, — უკვე ამ დღეებში ვრცელდებოდა ხმები ბერლინის წყაროებიდან, რომ გერმანია ამზადებს სერიოზულ მოქმედებას ავსტრიაში. ყოველივე ეს, — აცხადებს გაზეთი, — მოწმობს, რომ გერმანიის ხელმძღვანელ წრეებს უშუალო დანაშაული მიუძღვით ნაციონალ-სოციალისტურ პუტჩში“. „გერმანიის მიერ საერთაშორისო ურთიერთობის უაღრესად ელემენტარული საფუძვლების დარღვევა, წერს „ლავორო ფაშისტა“, მოითხოვს სათანადო მოქმედებას ავსტრიის მთავრობის მხრით, აგრეთვე იმ მთავრობების მხრითაც, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის“.

„ჯორნალე დე იტალია“ წერს: „კაცობრიობა გაასამართლებს დამნაშავეებს და მათ სულის ჩამდგმელებს“. აღნიშნავს რა გერმანიის ხელმძღვანელ როლს ამ ამბებში, გაზეთი გერმანიის პოლიტიკას უწოდებს „მოფიქრებულ პროვოკაციას, რაც ნაკარნახევია გერმანიის მთავრობის ზოგიერთი წრეების ბნელი ავანტურისტული გეგმებით“.

უცხოეთის პრესა ავსტრიის ამბების შესახებ

საფრანგეთი

პარიზი, 27 ივლისი. „ტანი“ მოწინავეში წერს:

„საჭირო არაა იმის დაფარვა, რომ ვენაში მომხდარი ამბები ქმნიან ისეთ მდგომარეობას, როცა ევროპის ცენტრში მშვიდობიანობის შენარჩუნებით დაინტერესებულ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გულდამშვიდებით დარჩენ. დოლფუსის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, ავსტრიაში იწყება რაღაც ახალი, რაც ხალხებს და მთავრობებს უაღრეს სიფხიზლეს უკარნახებს“.

„ეკო დე პარი“ წერს:

„იმისათვის რომ შევაკავოთ ჰიტლერის გერმანია, დიპლომატიური გამოსვლები ახლა საკმარისი არ არის. იტალიის ჯარების შესვლა კარინტიაში და ჩეხო-სლოვაკიის ჯარების კონცენტრაცია ვენის მახლობლად (საზღვრამდე მხოლოდ 80 კილომეტრია) წარმოადგენენ ყველაზე შესაფერ ზომებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მძიმე პასუხისმგებლობა აწევება მუსოლინის. დოლფუსის მოკვლით იგი საბრძოლველად გამოიწვიეს. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ მუსოლინი შესძლებს შური იძიოს“. (ადს).

პოლონეთი

ვარშავა, 27 ივლისი. სამხედრო წრეების ორგანო „პოლსკა ზბროინა“ მიუთითებს „ფრიად საეჭვო საინფორმაციო მუშაობაზე“, რომელიც ჩაატარა 25 ივლისს გერმანიის ოფიციალურმა ბიურომ: მან ვენის ამბების განვითარების დროს ჯერ გადასცა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა დოლფუსის სისხლისმსმელი მთავრობის წინააღმდეგ ძლევამოსილი სახალხო აჯანყების“ შესახებ, ხოლო შემდეგ, როცა გაიგო, რომ გამარჯვებაზე ნაადრევია ლაპარაკი, მოხსნა ეს ცნობა. „სახელმწიფოს მეთაურის მკვლელნი, — განაგრძობს გაზეთი, — რომელნიც ეძებენ მფარველობას მეზობელ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, რომელნიც პოულობენ ამ მფარველობას და თავშესაფარის გარანტიასაც კი ღებულობენ, — ასეთი რამ ევროპას ჯერ კიდევ არ უნახავს თავის ისტორიის ანალებში, თუმცა ეს ისტორია საკმაოდ სავსეა ცინიზმით“.

„კურიერ პოდზენი“ ფიქრობს, რომ ვენის ამბები გერმანიის უდიდესი დიპლომატიური დამარცხებაა. ნაციონალ-დემოკრატიული პრესა მოუწოდებს ევროპის სახელმწიფოებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები. (ადს).

გაბიხტი მოხსნეს პოსტიდან

ბერლინი, 27 ივლისი. გერმანიის მთავრობამ, რომელიც ყოველნაირად ცდილობს გაიმიჯნოს ნაციონალ-სოციალისტური პუტჩისაგან ავსტრიაში, თავისი ვენელი ელჩის უკან გამოწვევასთან ერთად, გადააყენა აგრეთვე პოსტიდან ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ინსპექტორი, ავსტრიის საქმეთა „სპეციალისტი“, რეიხსტაგის წევრი გაბიხტი. გაბიხტის გაწირვა, რომელიც თავის მოწოდებებში რადიოთი წარმოთქმულ სიტყვებში და სტატიებში ყოველთვის გამოდიოდა პუტჩის სულის ჩამდგმელად ავსტრიაში, ნათლად მოწმობს, რომ ავსტრიის ამბებით სხვა ქვეყნებში, პირველ ყოვლისა იტალიაში, გამოწვეულმა რეაქციამ აიძულა გერმანიის ხელმძღვანელი წრეები სწრაფად დაეწყოთ უკანდახევა.

ოფიციალურ ცნობაში გაბიხტის მოხსნის შესახებ ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობამ სპეციალურად გამოიკვლია — ხომ არ მონაწილეობდა გერმანიის რომელიმე ორგანო ავსტრიის ამბებში პირდაპირ ან არაპირდაპირ. ცნობაში ამტკიცებენ: კვლევაძიებამ ცხადყო, რომ გერმანიის არც ერთ ორგანოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ვენის ამბებში და რომ ავსტრიის საზღვრის დახურვამ არავის არ მისცა საშუალება გერმანიიდან იქ ვინმე გადასულიყო, ხოლო შემდეგ აღნიშნავენ:

„უსასტიკესი შემოწმებით დადასტურდა ერთადერთი შემთხვევა, რომელსაც, ავსტრიიდან მოსული და შემდეგ გავრცელებული ცნობების არასაკმაოდ გულდასმითი კონტროლის გამო, შეეძლო საწინააღმდეგო შთაბეჭდილება შექმნა.

პასუხისმგებლობა მიუნხენის რადიოსადგურის მეშვეობით გავრცელებული ცნობებისათვის აწევება ინსპექტორ გაბიხტს, რომელიც ამასთან დაკავშირებით გუშინ მოხსნილ იქნა ინსპექტორის პოსტიდან“. (ადს).

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალთა დელეგაცია გაფრინდა ვარშავაში

მოსკოვი, 28 ივლისი. 28 ივლისს დილით ვარშავაში გაფრინდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა დელეგაცია. ეს გაფრენა გასულ წელს საბჭოთა კავშირში პოლონეთის სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ესკადრილიების ჩამოსვლის საპასუხო სტუმრობაა. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ამხ. მეჟენინოვი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის უფროსი ამხ. ხრიპინი. დელეგაციის შემადგენლობაში 6 კაცია. სულ თვითმფრინავების ეკიპაჟთან ერთად ვარშავაში გაფრინდა 30 კაცი. დელეგაცია გაფრინდა „ანტ-6“ ტიპის სამი თვითმფრინავით. ეს მთლიანად ლითონის ოთხმოტორიანი თვითმფრინავებია. მონოპლანების ყველა ნაწილი საბჭოთა კავშირშია დამზადებული. თვითეული თვითმფრინავის მოტორების საერთო სიმძლავრე უდრის 3 ათას ცხენის ძალას, საკრეისერო სისწრაფე 190—200 კილომეტრს საათში, ფრენის რადიუსი 1.500 კილომეტრს, აფრენის სიმაღლე 6 ათას მეტრს.

ეს საპასუხო სტუმრობა წარმოადგენს ახალ ნაბიჯს საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ხალხებს შორის მეგობრული კავშირის განმტკიცების გზაზე (ადს).

ს. ს. რ. კავშირის ცაკის დადგენილება

ოზურგეთის რაიონისა, ქალაქ ოზურგეთისა და სადგურ ოზურგეთისათვის მახარაძის რაიონისა. ქალაქ მახარაძისა და სადგურ მახარაძის დარქმევის შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაკმაყოფილებულ იქნას ოზურგეთის რაიონის მშრომელთა, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების და საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა და ოზურგეთის რაიონს, ქალაქ ოზურგეთს და ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ ოზურგეთს ეწოდოს მახარაძის რაიონი, ქალაქი მახარაძე და სადგური მახარაძე.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1934 წლის 27 ივლისი.

ავიღოთ მოსავალი უდანაკარგოდ

შეუნელებელი ყურადღება ლეწვის დაჩქარებას

პური მოდის,
მაგრამ ნელი ტემპით

(თელავი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

25 ივნისს შეჭრიალდა წლევანდელი მარცვლეულით დატვირთული პირველი ურემი „ზაგოტზერნოს" თელავის მიმღები პუნქტის ეზოში. ეს იყო რკინის გზის მუშათა მომარაგების რაიონული განყოფილების ყვარლის საბჭოთა მეურნეობის ხორბალი. ამ დღიდან პუნქტზე დაიწყო პურით და ქერით დატვირთული ურმების დენა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ პურის ჩაბარება შესაფერი ტემპით მიმდინარეობდეს. 25 ივლისისათვის თელავისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეობებს სულ ჩაბარებული აქვთ მხოლოდ 204 ცენტნერი პური და 33 ცენტნერი ქერი, რაც გეგმის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს.

განსაკუთრებით ჩამორჩება ერთპიროვნული სექტორი. თელავის რაიონის ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობას ამავე რიცხვისათვის ჩაბარებული ჰქონდა 121 ცენტნერი ხორბალი და 69 კილო (!) ქერი, კულაკურ მეურნეობებს — 5,7 ცენტნერი ხორბალი. გეგმით კი ინდივიდუალურმა სექტორმა უნდა ჩააბაროს 5,939 ცენტნერი მარცვლეული, კულაკურმა მეურნეობებმა — 88,74 ცენტნერი.

საშ. - სატრაქტორო სადგურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურ - ანაზღაურების ანგარიშში კი შემოტანილია თელავის რაიონიდან მხოლოდ 14 ნახევარი ცენტნერი ქერი. პური ჯერ-ჯერობით ამ ანგარიშზე ერთი კილოგრამიც არ შემოსულა.

მარცვლეულის ჩაბარების ნელი ტემპები აიხსნება უმთავრესად იმით, რომ შეუწყნარებლად დაგვიანდა პურეულის ლეწვა. ლეწვას ხშირი წვიმებიც აფერხებდენ, მაგრამ ყველაზე მეტი ჩამორჩენა სალეწი მანქანების ცუდმა შეკეთებამ გამოიწვია. ამ მიზეზით მის დაწყებისთანავე სალეწების ამუშავება ვერ მოხერხდა. ეხლა მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია. სალეწი პუნქტები თითქმის ყველგან მუშაობენ, თუმცა ნაწილების გაფუჭების გამო გაცდენები კვლავ ხშირია.

რაც შეეხება „ზაგოტზერნოს" პუნქტს, უნდა ითქვას, რომ იგი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მარცვლეულის ჩაბარების კამპანიას. პუნქტმა წელს ააგო ახალი საწყობი 500 ტონას ტევადობით, შეაკეთა და მოაწყო ყველა დამხმარე შენობები.

პუნქტის ეზოში ყურადღებას იპყრობს სისუფთავე და წესრიგი. რაიკოოპკავშირის მიერ მოწყობილია პურის ჩამბარებლებისა და თანამშრომლებისათვის სასადილო, სადაც ხორციანი ულუფა ერთი მანეთი ღირს. გლეხები სასადილოთი კმაყოფილი არიან. სამაგიეროდ ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ რაიკოოპკავშირის სავაჭრო ფარდულის მიმართ. ფარდულის დანიშნულებაა სამრეწველო საქონლის მიწოდება პურის ჩამბარებლებისათვის, მაგრამ მას თავსაფრებისა და საპნის მეტი თითქმის არაფერი მოეპოვება.

— ბავშვებისათვის თეთრეული და სახალათეები მინდოდა, აქ კი მეუბნებიან, თუ გინდა საპონი იყიდეო, — შემოგვჩივლა წინანდელმა ერთპიროვნულმა გლეხმა თედო გაგაშვილმა, რომელმაც თავის დროზე ჩააბარა სავალდებულო მარცვლეული.

პუნქტთან მუშაობს კულტკუთხე, ეწყობა კინო - სეანსები გლეხებისათვის.

კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ გლეხებს წელს შედარებით უფრო კარგი ხარისხის პური მოაქვთ ჩასაბარებლად, მაგრამ ზოგჯერ მოტანილი მარცვლეული არ არის საკმაოდ გამშრალი და იშვიათ შემთხვევაში გაწმენდასაც მოითხოვს. პუნქტს აქვს სანიავებელი მანქანები, რომლითაც ასეთ შემთხვევაში სარგებლობენ ჩამბარებლები. ნედლ პურს კი, თუ ძალიან ბევრი არ არის, იქვე შლიან ბრეზენტებზე და აშრობენ.

ქ. ჩარკვიანი.

„სათანადო ბეჭდის დასმით" შედგენილი აქტი
და
„შეუკეთებელი" მანქანა-იარაღები

(ყვარელი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და გალეწვა, დიდათაა დამოკიდებული იარაღ-მანქანების წესრიგში მოყვანასა და მისი რაციონალურად გამოყენებაზე. ამ მხრით ყვარელის რაიონში ყველაფერი რიგზე არ არის. ჯერ კიდევ მოსავლის აღებამდე რამოდენიმე ხნით ადრე რაიონში ფაცაფუცი დაიწყეს, მანქანების შეკეთებას შეუდგენ, მაგრამ მხედველობიდან გამორჩათ. რემონტის ხარისხისათვის ბრძოლა.

ყვარელის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს ამხ. მგალობლიშვილს ეგონა, რომ მოსავლის ასაღები და გასალეწი მანქანები შეკეთებული და სრულ წესრიგში მოყვანილი აქვს. რემონტის ხარისხზე აქტებიც კი შეადგინეს, რომელსაც მგალობლიშვილთან ერთად ხელი მოაწერა უფროს მექანიკოსმა (იგივე შემკეთებელ სახელოსნოს გამგე) ქურდოვანიძემ და ამით დამთავრდა ყველაფერი.

„სათანადო ბეჭდის დასმით" გაფორმებული აქტებით დაიმედებული სამ.-სატრ. სადგურის ხელმძღვანელები თვითკმაყოფილებას მიეცენ და გულდამშვიდებით უცდიდენ მოსავლის აღებისა და გალეწვის დროს, მაგრამ მანქანები მინდვრად სამუშაოდ გასვლის დღეს უმეტესი ნაწილი ცუდი ხარისხით შეკეთებული აღმოჩნდა.

ამხ. მგალობლიშვილს სწორედ მაშინ მოაგონდა სათადარიგო ნაწილები, როცა მეზობელ რაიონებში გაცხოველებული მკა და ლეწვა მიმდინარეობდა. სოფ. ქიკაანის კოლმეურნეობა „შრომაში" დიდი ხანია ტრაქტორი უმოძრაოდ სდგას. ახალსოფლის ამხ. მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაში სალეწი მანქანა მეტნაწილად გაჩერებულია და 20 საათის განმავლობაში ნორმით დაწესებულ 900 ფუთის ნაცვლად ლეწავს მხოლოდ 80—90 ფუთს. სოფ. ენისელში კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროში" სალეწი მანქანა სამი დღე იყო გაჩერებული, იმის გამო, რომ მას ვერ გამოუცვალეს უვარგისი ფიცრები. ამხ მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაში, იმის გამო რომ წესიერად არაა შეკეთებული სალეწი მანქანა, მარცვალი იპნევა და დანაკარგები 25 პროცენტამდე აღწევს. ამავე კოლმეურნეობაში მანქანების უვარგისობის გამო ლეწვის დაწყებიდან 23 ივლისამდე გაცდენილი იყო 175 კაც-დღე.

ყვარელის სამ. სატრაქტორო სადგურში ზოგიერთი ტრაქტორისტები მანქანა იარაღების მოვლის საქმეს ყოვლად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, მაგ.: ტრაქტორისტმა გაჭირაძემ მასზე მიმაგრებულ ტრაქტორი ცუდ გზაზე გაატარა და დაამტვრია. დამტვრეული ტრაქტორი სოფ. ბალღოჯიანში ეხლაც ცის ქვეშ აგდია და იჟანგება.

ყვარელის რაიონში არც ვარგისი მანქანები მუშაობენ წესიერად და სრული დატვირთვით. მაგალითად, სოფ. წიწკანათსურის კოლმეურნეობის მანქანამ დღე-ღამის განმავლობაში უნდა გალეწოს გეგმის მიხედვით 700 ფუთი ხორბალი, სინამდვილეში კი ლეწავს 80—95 ფუთს.

აღნიშნულ მდგომარეობას ამ სალეწი მანქანის მექანიკოსი გაბარაევი იმით „ხსნის", ვითომ ცუდი რემონტის გამო მანქანა ყოველ 20 წუთში ჩერდებაო. მაგრამ როცა ჩვენ პარტრაიკომის მდივნის მოადგილე ამხ. ჭიჭინაძესთან ერთად შევამოწმეთ ეს ფაქტი აღმოჩნდა, რომ ეს მანქანა ამ მიზეზით კი არ ჩერდება, არამედ —მექანიკოსი ბოროტი განზრახვით აჩერებდა მას.

ბევრ სალეწ პუნქტებს არ მოეპოვება რიგიანი სასწორი. მაგ. სოფ. ქიკაანის „შრომის" სახელობის კოლმეურნეობაში სასწორი უვარგისია.

რაიონში კვალიფიკაციური მწონავების გამოყენებასაც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. კომკავშირის რაიკომმა სამ.-სატ სადგურს 14 აქტიური კომკავშირელი მისცა მწონავის თანამდებობაზე გამოსაყენებლად. სამ.-სატრ. სადგურმა მათთვის კურსებიც კი მოაწყო, მაგრამ დირექტორის მოადგილე ამხ. ათორთლაძემ ეს ხალხი მწონავეებად არ მიიღო და ამგვარად მათ მომზადებაზე დახარჯული თანხები უნაყოფოდ დაიკარგა.

ყვარელის რაიონში მოსავლის აღება და გალეწვა აშკარა არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და იგი ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება, თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ხ. ქარსელაძე.

მოსავლის აღება და გალეწვა 25 ივლისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

25 ივლისისათვის კოლმეურნეობებს საქართველოში თავთავიანი კულტურები აღებული ჰქონდათ 69.889 ჰექტარზე, რაც ნათესების 53 პროც. შეადგენს, ერთპიროვნულ მეურნეობებს მოსავალი აღებული ჰქონდათ 132.359 ჰექტ.—49,1 პროც. ორივე სექტორს მოსავალი აღებული ჰქონდათ 202.248 ჰექტ. ანუ ნათესების 50,3 პროც. (20 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 163.601 ჰექტ., შესრულებული იყო გეგმის 40,7 პროც.).

ამავე რიცხვისათვის კოლმეურნეობებს გალეწილი ჰქონდათ 25.019 ჰექტარის მოსავალი, რაც მთელი ნათესების 19 პროც. და აღებული მოსავლის 35,7 პროცენტს შეადგენს. ერთპიროვნულ მეურნეობებს გალეწილი ჰქონდათ 31.900 ჰექტარის მოსავალი, ანუ ნათესების 11,8 პროც., და აღებული მოსავლის 24,1 პრ. ორივე სექტორს გალეწილი ჰქონდა 56.919 ჰექტარი მოსავალი, რაც მთელი ნათესების 14,2 პროც., ხოლო აღებული მოსავლის 28,1 პროც. შეადგენს.

რაიონების მიხედვით აღებული და გალეწილია:

რაიონები	აღებულია		გალეწილია	
	ჰექტარები	ნათესების მთელი რაოდენობა პროც.	ჰექტარის მოსავალი	ნათესების მთელი რაოდენობის პროც.
ახალციხის	4.066	41,5	276	2,2
ადიგენის	818	11,7	23	0,3
ტოლოშის	1.166	13,8	65	0,7
სტალინისის	10.950	44,3	3.504	14,2
გორის	10.950	55,6	1.765	7,5
კასპის	9.138	73,6	1.175	9,4
გურჯაანის	16.957	89,5	5.432	28,3
სიღნაღის	36.186	100	17.180	47,5
თელავის	22.208	87,8	9.071	35,9
ყვარლის	12.091	100	1.579	13
ლაგოდეხის	9.198	100	4.045	43,9
ტფილისის	20.765	84,6	3.459	14,1
ქარაიას	1.699	100	1.431	84,2
ბორჩალოს	7.546	73,1	1.448	—
ლიუქსემბურგის	6.469	71,8	1.721	19,3
დუშეთის	1.780	11,4	356	2,3
ალბულალის	7.040	40,8	405	2,3
საგარეჯოს	11.187	80	1.591	11,4
ბაშკიჩეთის	3.100	29,7	—	—
სამხრეთ-ოსეთში	3.768	13,5	1.557	5,5
სამტრედიის	426	92,6	426	92,6
ხონის	246	50,9	102	21,1
ჭიათურის	1.335	32,3	405	9,7
ონის	4	—	—	—
ცაგერის	610	19	8	—
ჩოლურის	35	4,6	—	—
აფხაზეთში	361	100	—	—

ლეწვა ჭიანურდება
სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება იგვიანებს

კასპის რაიონში ლეწვა დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. 20 ივლისისათვის გალეწილი იყო მთელი აღებული მოსავლის 8,6 პროცენტი. (მოსავალი აღებულია 7.488 ჰექტ., გალეწილია 649 ჰექ.).

მართალია, სალეწი მანქანების სიმცირე (რაიონში სულ 5 მანქანაა), დიდად აფერხებს ლეწვის გაშლას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგან გამოუყენებელია კალოები). მანქანების მოლოდინში არ ჩქარობენ მინდვრებიდან მოსავლის გადმოზიდვასაც (კასპი, სამთავისი).

ლეწვის ასეთი დაგვიანების შედეგია, რომ კასპის რაიონში სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 23 ივლისისათვის „ზაგოტზერნოს" კასპის მიმღებ პუნქტში სავალდებულო ჩაბარების წესით მიღებული იყო 783 ცენტნერი მარცვლეული, რაც შეადგენს ივლისის გეგმის 31,3 პროცენტს, სამ.-სატ. სადგურის ნატურ ანაზღაურების ანგარიშში მიღებულია 161,4 ცენტნერი, ანუ ივლისის გეგმის 43 პროცენტი.

სოფ. გრაკლისა და დოესის კოლმეურნეობებმა პირველებმა მთელს რაიონში პუნქტს კალოდანვე ჩააბარეს საუკეთესო ხარისხის პური. სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება მოიხადა აგრეთვე სოფ. ქვემო-ჭალის ამხ. შ. ელიავას სახ. კოლმეურნეობამ, რომლის ჩაბარებული მარცვლეული პირველ ხარისხად არის მიღებული.

მაგრამ, სამწუხაროდ, რაიონში არიან კოლმეურნეობები, რომლებიც პუნქტში გაუწმენდავ მარცვლეულს აგზავნიან.

მაგ. 22 ივლისს სოფ. ქვემო-ხანდაკის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ადამაშვილი) 40 ფუთი ხორბალი მტვრიანი აღმოჩნდა, კოლმეურნეობა აიძულეს იქვე პუნქტან ტრიერში გაეტარებია დანაგვიანებული მარცვლეული; იმავე დღეს ზემო-ხანდაკის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. ქვრივიშვილი), ჩასაბარებლად მოიტანა 1266 კილოგრამი მარცვლეული, აქედან 320 კილო მტვიანი და ნედლი გამოდგა. პუნქტმა ეს პური კოლმეურნეობას უკან წაღებია.

საჭიროა კასპის სამ. - სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ ამ მდგომარეობას ეხლავე სერიოზული ყურადღება მიაქციოს, რათა მოისპოს დაუხარისხებელი და გაუსუფთავებელი მარცვლეულის მოტანა.

„ზაგოტზერნოს" კასპის პუნქტი თითქმის არავითარ მომსახურებას არ უწევს პურის ჩამბარებლებს. სასადილო და საჩაიე არ არის გახსნილი. აქვთ „სამკითხველო" სადაც ვერც ერთ გაზეთს და ჟურნალს ვერ ნახავთ. 8 დღის განმავლობაში (21-28 ივლისამდე), სამკითხველოს არავინ მიკარებია, არც კულტმუშაკი ჩანს.

საინტერესოა, რას ფიქრობს კასპის განათლების განყოფილება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე საწყობთან მისასვლელი გზა შეუკეთებელია, გზაზე გაუვალი ტალახია, რა იქნება წვიმის დროს—ეს უკვე წარმოსადგენია.

საჭიროა „ზაგოტზერნოს" საქ. განყოფილებამ მიიღოს ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ვ. მთვრალაშვილი.

სალეწი მანქანები ცუდად მუშაობენ

გორი, (საკ. კორ.). მოსავლის აღება გორის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, 20 ივლისისათვის მარცვლეული კულტურები აღებული იყო 7.964 ჰექტარზე, რაც ნათესების 34 პროცენტს შეადგენს. ძნებად შეკრულია მომკილი პურეულის 40,5 პროც. (3.229 ჰექტარის მოსავალი).

სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი აღებული მოსავლის გალეწვა. 20 ივლისისათვის გალეწილი იყო მხოლოდ 615 ჰექტარის მოსავალი, რაც მომკილი პურეულის 7,7 პროცენტს არ აღემატება.

გალეწვის ასე დაგვიანება მეტად აფერხებს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მოხდას. 20 ივლისისათვის „ზაგოტზერნოს" გორის პუნქტს სავალდებულო ჩაბარების წესით მიღებული ჰქონდა მხოლოდ 2 ტონა მარცვლეული, რაც გეგმის მხოლოდ 0,1 პროცენტს შეადგენს.

ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობები, ერთპიროვნული მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგური სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდენ მოსავლის აღებას. ზოგიერთ კოლმეურნეობაში საჭირო ყურადღება არ ექცევა ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენებას. ასეთია, მაგალითად, ქვემო ახალი სოფლის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. წქრიალაშვილი), სადაც დანაკარგები საგრძნობ რაოდენობას შეადგენს. ამავე მიზეზით სოფ. შავშვების ებრაელთა კოლმეურნეობაში დანაკარგები 20 პროცენტამდე აღწევს.

შეკეთების ცუდი ხარისხის გამო სალეწი მანქანა № 7 მეტ დროს უმოქმედოდ დგას. სალეწი მანქანა № 13 სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. ამ მანქანაზე მიმაგრებული მემანქანე ბალიაშვილი თავის მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება; 18 ივლისს იგი სრულიად არ გამოცხადებულა სამუშაოზე. 20 საათის ნაცვლად აღნიშნული მანქანა დღე-ღამეში მხოლოდ 8 საათს მუშაობს. მანქანასთან დიდძალი ხორბალი იბნევა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

სალეწი მანქანების ღამე მუშაობა შეფერხებულია ფარნების უქონლობით.

მოსავლის ხანძრისაგან დაცვაც მოუწესრიგებელია. ამ დღეებში სოფ. ნაწრეტის კოლმეურნეობაში ნათესს გაუჩნდა ცეცხლი, რომელმაც ერთი ჰექტარზე აღებული მოსავალი შთანთქა. დამნაშავე დღემდე არ არის აღმოჩენილი.

მუშაობის ასე განგრძობა შეუძლებელია. გორის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საჭიროა მიიღონ სასწრაფო ზომები და უზრუნველყონ მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღება.

ა. კირცხალია.

პარტიულ თემაზე

თანამგრძნობთა ჯგუფებს-კონკრეტული ხელმძღვანელობა

მაუდის ფაბრიკის საუკეთესო დამკვრელი თანამგრძნობთა ჯგუფის წევრი ამხ. კინწურაშვილი ამეცადინებს ფაბრიკაში ახლად მიღებულ ახალგაზრდა მუშას ამხ. გინცაურს

როგორ ვხელმძღვანელობ
თანამგრძნობთა ჯგუფს

სოფ. კარალეთის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ვ. მაჭარაშვილი აძლევს შეკითხვას მაუდის ფაბრიკის საქსოვ საამქროს პარტორგანიზატორს ამხ. ჯვარიძეს: — როგორ ჩამოაყალიბე თანამგრძნობთა ჯგუფი და როგორ ხელმძღვანელობ მათ"? ჯვარიძე უპასუხებს:

— მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე თავიდანვე დიდი მონდომებითა და მოფიქრებულად მოვკიდე ხელი თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის საქმეს. აღნიშნული საკითხი დავამუშავე პარტორგანიზაციის ღია კრებაზე, შემდეგ პოლიტსკოლებში, ჯგუფებში და ცალკე კომპლექტების მიხედვით. ამ მუშაობას ვატარებდი პარტჯგუფორგანიზატორების დახმარებით. აღნიშნულ საკითხზე ახსნა-განმარტებითი საუბრების მოწყობით დავაინტერესე თვითეული დაზგის მუშა, თვითეული დამკვრელი ამხანაგი.

პარტკომში პირველად შემოვიდა 8 განცხადება თანამგრძნობთა ჯგუფებში მიღების შესახებ. ამის შემდეგ კი გადავედი საქმის პრაქტიკულად განხორციელებაზე. შევუდექი ცოცხალი ადამიანების შესწავლას. განცხადება პირველად შემოიტანა 1-ლი კომპლექტის ქვეოსტატმა ამხ. ხუციშვილმა, რომელიც საუკეთესო დამკვრელია საქსოვ საამქროს მუშებ შორის. მისი განცხადების შინაარსი ასეთია: „ვარ დამკვრელი, გეგმებს ვასრულებ ყოველთვის გადაჭარბებით და მაღალი ხარისხით, დავეუფლე ჩემი დაზგის ტექნიკას, სისტემატიურად დავდივარ პარტგანათლების სკოლაში, დიდი ხალისით ვსწავლობ მე-17 პარტყრილობის მასალებს. მსურს გავხდე პარტიის უახლოესი თანაშემწე, წინასწარ მსურს ვიმუშაო თანამგრძნობთა ჯგუფში, რათა შევეჩვიო პარტიულ დისციპლინას და ნამდვილად მომზადებული შევიდე პარტიის რიგებში". ასეთივე გულწრფელ სურვილებს გამოსთქვამდენ სხვებიც, რომელთაც განცხადება შემოიტანეს თანამგრძნობთა ჯგუფში.

აღნიშნული ამხანაგების თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების საკითხი დამუშავდა პარტორგანიზაციის ღია კრებაზე მათივე თანადასწრებით, შემდეგ საკითხი გადატანილ იქნა საამქროს პარტორგანიზაციის ღია კრებაზე. ამავე კრებაზე დამუშავდა ტფილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილება თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად. ჩატარებული მუშაობის შედეგებზე და მოწინავე რაიონების გამოცდილება თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის საკითხში.

ასეთივე შინაარსის განცხადება მრავალი მივიღეთ. ვსწავლობთ ამ განცხადებების შემომტან მუშებს და თუ ისინი მართლაც ამართლებენ თანამგრძნობთა წევრობის პირობებს, ორი კომუნისტის რეკომენდაციის შემდეგ ვიღებთ მათ თანამგრძნობთა ჯგუფში. ის მუშები, რომლებიც უკვე მივიღეთ თანამგრძნობთა ჯგუფში, თავიდანვე ჩაბმული იყვნენ პოლიტსწავლებაში, ისინი დიდი ინტერესით სწავლობენ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს და ყოველდღიურად იბრძვიან ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობას მე თვითონ ვხელმძღვანელობ, სისტემატიურად ვაძლევ ერთდროულ დავალებას და ყოველ 5 დღეში ვამოწმებ მის შესრულებას. მაგალითად, თანამგრძნობთა ჯგუფის წევრს ამხ. ს. კობახიძეს მივეცი დავალება გამოერკვია — სანემსე განყოფილებაში რამდენია ახლად-მიღებული მუშა და აქედან რამდენს არ მოუწერია ხელი სესხზე. მან გამოარკვია, რომ ახლად მიღებულია 8 კაცი, სესხზე კი არც ერთს არ ჰქონდა ხელი მოწერილი. მასვე დავავალე ჩაეტარებია ამ მუშებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობა სესხზე ხელისმოწერის მნიშვნელობის შესახებ. მან ეს დავალება პირნათლად შეასრულა.

ასეთ დავალებებს ვაძლევ თანამგრძნობთა ჯგუფის სხვა წევრებსაც. მიცემული დავალებების შესრულებას ვამოწმებ სისტემატიურად განსაზღვრული დროის განმავლობაში, ამით ისინი ეჩვევიან პარტიულ დისციპლინას.

პარტიული დღის ჩატარების წინ საკითხებს ვამუშავებთ თანამგრძნობთა ჯგუფში. თანამგრძნობთა ჯგუფის თვითეულ წევრს ვაცნობთ პრტდღის საკითხებს და ვამზადებ მას პარტდღეზე აქტიური მონაწილეობისათვის. აგრეთვე ვამოწმებ, თუ რამდენად კარგად დაამუშავა აღნიშნული საკითხი ჯგუფორგანიზატორმა თანამგრძნობთა ჯგუფის წევრებს შორის.

ამგვარად, პარტდღეზე თანამგრძნობი მუშები წინასწარ მომზადებული მოდიან და გვეხმარებიან ამათუიმ საკითხის სწორად გადაჭრაში, პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავებაში და სხ.

ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აღვზარდოთ თვითეული თანამგრძნობი, პოლიტიკურად შევაიარაღოთ ის მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შევაჩვიოთ რკინისებურ დისციპლინას. თვითეული თანამგრძნობი დაინტერესებულია ამ ვალდებულებათა ბოლშევიკურ შესრულებით, ისინი ერთიმეორეს ეჯიბრებიან, რათა დეტალურად შეისწავლონ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი და განსაკუთრებით პარტიის წესდება და პროგრამა. გარდა პოლიტსკოლებში მეცადინეობისა, შესვენების დროს ვაწყობთ ათწუთიან საუბრებს მათი მუშაობის შესახებ პარტგანათლების სკოლაში, ვეხმარებით ჩამორჩენილებს და შესასწავლ თემებს ვუკავშირებთ პრაქტიკულ საკითხებს.

ისინი მუშაობის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მოდიან მეცადინეობაზე, ურთიერთშორის აწყობენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას და ამგვარად ვამუშავებთ ყველა იმ საკითხებს, რომელნიც მე-17 პარტყრილობამ დასახა ჩვენს წინაშე ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად.

ტფილისის მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს პარტორგანიზატორი

ჯვარიძე.

მეტი მზრუნველობა თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნას

(ქუთაისის ძაფსაღები ფაბრიკა)

მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან უნდა შეიქმნას თანამგრძნობთა ჯგუფები. თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნისათვის ქუთაისის ძაფსაღები ფაბრიკის პარტკომი დაგვიანებით შეუდგა მუშაობას, ძირეულ რგოლებში 25 ივნისამდე არ ჩატარებულა ფართო ახსნა - განმარტებითი საუბრები თანამგრძნობთა ჯგუფების მნიშვნელობაზე.

პირველ ივლისს ფაბრიკაში ჩატარდა ერთიანი პარტ-დღე, რომელზეც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 3 ივლისის სადირექტივო წერილის მიხედვით დამუშავდა საკითხი თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ. ამან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია უპარტიო მასაში. თანამგრძნობთა ჯგუფებში მიღების შესახებ განცხადება შეიტანა რამდენიმე დამკვრელმა მუშამ, მაგ.: კვანტალიანმა, ლოლობერიძემ და ბურჯანაძემ, რომლებიც მუდამ გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებენ საწ.-საფ. გეგმებს (აქვთ 10—12 წ. მუშაობის სტაჟი) და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ მუშაობაში.

აი რას ამბობს ერთი მათგანი, დამკვრელი მუშა - ქალი ამხ. ეფროსინე ბურჯანაძე: „გაორკეცებული ენერგიით ვიბრძვი ჩემს სამუშაო უბნის საწ.-საფ. გეგმის შესრულებისათვის, დაინტერესებული ვარ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, არცერთი წუთი არა მაქვს გაცდენილი უმიზეზოდ, ამავე დროს ჩაბმული ვარ სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში, რომელსაც უყოყმანოდ და პირნათლად ვასრულებ. მსურს შევიდე პარტიის რიგებში, მაგრამ არა მაქვს საამისო პოლიტიკური მომზადება. როდესაც გავიგე, რომ ჩვენთან ყალიბდება თანამგრძნობთა ჯგუფები, ამან ძლიერ გამახარა. თანამგრძნობთა ჯგუფში შესვლა მმატებს ხალისს, რადგანაც აქ შესაძლებლობა მექნება მივიღო საჭირო წინასწარი პოლიტიკური მომზადება, რომ შემეძლოს პარტიის რიგებში შესვლა. მაგრამ ზოგიერთი პარტჯგუფორგანიზატორი ბოლშევიკურად ვერ იბრძვის თანამგრძნობთა ჯგუფებში უპარტიო აქტივის მისაზიდად. მაგ. პარტჯგუფორგანიზატორებმა ამხ. ბ. გობელიამ და ე. ნემსაძემ საფუძვლიანად ვერ დაამუშავეს საამქროებში საკითხი თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ. მათი სუსტი მუშაობას მიეწერება ისიც, რომ პირველ ივლისს მოწყობილ ერთიან პარტდღეზე მათი საამქროებიდან მუშების მცირე ნაწილი გამოცხადდა".

ამხ. ბურჯანაძის შენიშვნა სავსებით სამართლიანია.

ძაფსაღებ ფაბრიკის პარტიულმა კომიტეტმა ცოცხალი კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პარტორგანიზატორებს, რათა სათანადოდ გაიშალოს მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფებში საუკეთესო დამკვრელი მუშების მისაღებად.

ალ. შარვაძე.

ტფილისის აბრეშუმის ფაბრიკა ხარისხისათვის ბრძოლაში

(აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორის წერილი)

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა განვლილი 3—4 წლის მანძილზე პატარა 18 დაზგიან საქსოვ სახელოსნოდან გადაიქცა დიდ წარმოებად, რომელიც წლიურად უშვებს 2.100.000 მეტრ აბრეშუმის და ნახევრად ხამ ქსოვილებს.

ამ ფაბრიკას წარსულში არ შეეძლო ემაყნა თავისი პროდუქციის მაღალი ხარისხით. პროდუქციის დაბალი ხარისხი აიხსნებოდა არა მარტო ქსოვილის წუნის დიდი პროცენტით, არამედ მისი სუსტი გაფორმებითაც (შეღებვა - დაჩითვა).

თუ ეს მდგომარეობა წარსულში, წარმოების ორგანიზაციის პერიოდში, შეიძლებოდა მოგვეთმინა, ამჟამად, პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილების შემდეგ, იგი ყოვლად შეუწყნარებელია. წარმოებას უნდა ეზრუნა ხარისხისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმის დადგენილებამ.

ტფილისის კომიტეტმა ფაბრიკას ძირითად საბრძოლო ამოცანად დაუსახა ხარისხისათვის ბრძოლა. და ამ მიმართულებით მთელმა კოლექტივმა ფართო მუშაობა გაშალა.

პლენუმის დადგენილების საფუძველზე უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში ხელფასის სისტემა გარდაიქმნა იმგვარად, რომ ის მნიშვნელოვან სტიმულს ქმნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. თუ წინათ მქსოველისათვის ხელსაყრელი არ იყო წუნის გამორკვევა, მასზე დროს დაკარგვა, ხოლო ამ ნიადაგზე წუნი იზრდებოდა, ამჟამად წუნისათვის შემოღებულია ჯარიმა და კარგი ხარისხისათვის—პრემია.

გარდაქმნილია ტექნიკური კონტროლის აპარატი საამქროების მიხედვით. საამქროს უფროსს, ხარისხისათვის ძირითად პასუხისმგებელს, მიეცა საკონტროლო აპარატი.

მანქანების და საერთოდ მოწყობილობის კარგი მდგომარეობა ხარისხის გაუმჯობესების ერთერთი მთავარი პირობაა. ტფილისის კომიტეტის იმავე პლენუმის დადგენილების საფუძველზე ფაბრიკაში შევქმენით მიმდინარე რემონტის ბრიგადა, რასაც შედეგად მოჰყვა დაზგების მიზეზით წუნის გამოშვების მაქსიმალურად შემცირება.

მოვაწყვეთ ლაბორატორია, ძაფის საშრობი, დავდგით სჩითავი მაგიდები, დამატებითი ბარკები, რამაც შესცვალა სამღებრო - საპრეტურო საამქროს სახე.

დღეს ფაბრიკაში გაშლილია ტექნიკური სწავლება. მასში ჩაბმულია 411 მუშა; ვატარებთ სტალინურ ლაშქრობას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში ჩაბმულია 704 მუშა. ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წუნის შემცირებაში. მაგალითად: თუ ივნისში წუნი დამზადებული ქსოვილის 15 პროც. შეადგენდა, ხოლო ხამ ქსოვილზე 6,1 პროც., ივლისის პირველ დეკადაში ხამი ქსოვილის წუნი უდრის 3,8 პროც., ივლისის მეორე დეკადაში კი 3 პროცენტს. ეს პროცენტი დაბალია საკავშირო აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს მიერ წუნდებული პროდუქციისათვის გათვალისწინებულ პროცენტზე.

როგორც ციფრები გვიჩვენებს, ჩვენზე დამოკიდებული მიზეზებით წუნი მნიშვნელოვნად შევამცირეთ. მაგრამ არაფერი ეშველა წუნს, რომელიც გამოწვეულია ნედლეულის უვარგისობის გამო, რომელიც 30 პროცენტს აღწევს. მართალია, ეს წუნი ჩვენს წარმოებას არ ეკუთვნის, იგი კომისარიატის განკარგულებით, ცალკე აღირიცხება და მისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ძაფსაღებ და საგრეხ ფაბრიკებს, რომლებიც ამ ნედლეულს გვაწოდებენ, მაგრამ ეს მდგომარეობა მაინც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. განსაკუთრებით დაბალი ხარისხისაა დაგრეხილი ძაფი. სამტრედიის და თელავის ძაფსაღებმა ფაბრიკებმა (დირექტორი ამხ. სოგერაძე და ქიტალაძე) მდგომარეობა ნაწილობრივ გამოასწორეს. მაგრამ ნედლეულის მომწოდებელი დანარჩენი ფაბრიკები: ქუთაისის (დირექტორი ამხ. რუხაძე), ხონის (დირექტორი ამხ. კოპალეიშვილი) და ოზურგეთის (დირექტორი ამხ. მეგრელიშვილი), ნედლეულის ხარისხს არ აუმჯობესებენ. მათ უკვე მიიღეს კარგი ხარისხის პარკი, შესაძლებლობაც აქვთ დაამზადონ კარგი ხარისხის ნედლეული, და ჩვენს ფაბრიკას დაუყოვნებლივ მოაწოდონ.

შემცდარია ის აზრი, რომ ხარისხისათვის ბრძოლა მარტო წუნის პროცენტის შემცირებით ამოიწურება. მომხმარებელთა ფართო მასების მოთხოვნილების ზრდასთან ერთად მეტად აქტუალური ხდება საქონლის ასორტიმენტის საკითხი. ეს — ცენტრალური საკითხია; ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში, და ჩვენც ამ საკითხს მივაქციეთ ყურადღება.

სპეციალურად გამოვყავით დაზგები, რომელზედაც ჩვენი საუკეთესო ოსტატი ამუშავებს ახალ ასორტიმენტს. უკვე ათვისებულია ორი ასორტიმენტი. ერთია ნახევარი აბრეშუმის ქსოვილი „კოტლე" და მეორე — ზოლიანი აბრეშუმი. ვსწავლობთ მათ მასობრივად გამოშვების ტექნიკას, ვამუშავებთ ახალი ასორტიმენტის ტექნიკურ ანგარიშებს იმ ვარაუდით, რომ უახლოეს დროში, კერძოდ მიმდინარე წლის მე-4 კვარტალსა და 35 წელში, ჩვენს ფაბრიკას ჰქონდეს მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი ასორტიმენტი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პროდუქციის ხარისხთან არის დაკავშირებული, ეს არის ქსოვილების სიგანე. ქსოვილების სიგანეს დიდი მნიშვნელობა აქვს. მომხმარებელი მოითხოვს განიერ ქსოვილებს. ჩვენს ფაბრიკაში კი 55 ვიწრო საქსოვი დაზგაა. ამ დაზგების გაგანიერება აითვისა 26 კომუნარის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ. მაგრამ მასობრივად მის გატარებას ხელს უშლის გაგანიერების დიდი ღირებულება: ქუთაისის აბრეშუმის ფაბრიკაში ეს საქმე ჯდება არა უმეტეს 700—800 მანეთის თითო დაზგაზე, ხოლო 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, გვთხოვს 2.000 მანეთს ერთ დაზგაზე. ამ მხრივ სიტყვა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს ეკუთვნის.

ფაბრიკის პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციების და მთელი მუშათა კოლექტივის ყურადღება მიმართულია ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებისაკენ. ეჭვს გარეშეა, რომ უახლოეს დროში ჩვენი ქსოვილი მოსკოვის მოწინავე ფაბრიკების აბრეშუმის ქსოვილებს გაუთანასწორდება.

დ. თოთიბაძე.

საქართველოს სატყეო მრეწველობა კვლავ ჩამორჩენილია

დიდი ამოცანები დგას სატყეო მრეწველობის წინაშე. მან უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის გიგანტები: საშენი მასალით, შეშით; ავეჯის ფაბრიკები: — საფანერო ნედლეულით, დეკტით, პატარა ზომის ფიცრებით; ავიაცია: — მაღალხარისხოვანი და გამძლე მასალით. სატყეო მრეწველობამ საერთაშორისო ბაზარზე უნდა გაიტანოს სხვადასხვა სახის ნედლეული—ხე-ტყე.

ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანათა შესრულებაში სატყეო მრეწველობა დიდად ჩამორჩება. გეგმის შესრულებისათვის ყველა რეალური საშუალება არსებობს. მაგრამ ხშირად იგი გამოუყენებელი რჩება.

საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე ამხ. კაგანოვიჩმა ბოლშევიკური კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სატყეო კომისარიატის მუშაობა. იგი ამბობდა: — „ავიღოთ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი. საერთოდ ამ სახალხო კომისარიატს საკუთარი თავისებურებები აქვს, ცოტათი „სატყეო" კომისარიატია, მაგრამ კავშირი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და ნამდვილ ტყეს შორის უაღრესად სუსტი და არადამაკმაყოფილებელია. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან სატყეო უბნამდე და ტყის დასაცურებელ პუნქტებამდე ძალიან დიდი მანძილია და ეს ხდება იმიტომ, რომ თვით სახალხო კომისარიატში ადგილობრივი ორგანოების სამმართველო აბნეული და უპასუხისმგებლოა, ვინაიდან განკარგულებას იძლევა ყველა, ვისაც კი არ ეზარება".

ამხ. კაგანოვიჩის მიერ სატყეო კომისარიატის მუშაობის შეფასება ზედგამოჭრილია საქართველოს სატყეო მრეწველობისათვის.

როგორ ართმევს თავს საქართველოს სატყეო მრეწველობა თავის მოვალეობას? ჩამორჩენა, გეგმის შეუსრულებლობა გრძელდება თვითან-თვემდე და წლიდან-წლამდე, რისთვისაც პარტია და ხელისუფლება სამართლიანად უსაყვედურებენ სატყეო მრეწველობის მუშაკებს.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ყოველ შემთხვევაში მიმდინარე წელს, რომ სატყეო სამრეწველო მეურნეობებს, ხე-ტყის სახერხ ქარხნებს და საერთოდ სატყეო მრეწველობის ყველა საწარმოს, ერთად აღებულს, შეესრულებიოს საწარმოო პროგრამა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სატყეო მრეწველობის მუშაობა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არის მიღწეული გეგმის მთლიანად შესრულება.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოს სატყეო ტრესტის ხაზით უნდა დამზადებულიყო სულ 140.060 კუბიკური მეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად დამზადდა 70.059 (გეგმის — 50,1 პროც.); ამავე პერიოდისათვის სამასალე ხეების დამზადების გეგმა შესრულებულია 43,9 პროც., შეშის —67,1 პროც.

ამჟამად სატყეო - სამრეწველო მეურნეობათა ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა. გეგმით მეორე კვარტალში უნდა გამოზიდულიყო სულ 192.266 კუბიკური მეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად გამოზიდულია 109,750 (გეგმის — 57,1 პროც.); სამასალე ხეების გამოზიდვის გეგმა შესრულებულია 56, პროც., შეშის —59,1 პროცენტით.

თუ შევაჯამებთ სატყეო მრეწველობის ექვსი თვის მუშაობის შედეგებს ვნახავთ, რომ აქაც საგრძნობი ჩამორჩენაა.

ხე-ტყის დამზადების წლის პირველი ნახევრის გეგმა ითვალისწინებდა 303.248 კუბიკურ მეტრს, ფაქტიურად დამზადდა 255.799 (გეგმის — 84,3 პროც.); სამასალე ხეების დამზადების გეგმა შესრულებულია 82,1 პროც., შეშის—87,8 პროც. დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვაც ჩამორჩება. წლის პირველ ნახევარში გეგმით გათვალისწინებული 258.167 კუბიკური მეტრი ხე-ტყის გამოზიდვის ნაცვლად გამოზიდულია მხოლოდ 180.366 (გეგმის 69,9 პროც.); სამასალე ხეების გამოზიდვის გეგმა შესრულდა 72,7 პროც., შეშის—65,3 პროცენტით.

საქართველოს სატყეო ტრესტის სისტემაში შემავალ 24 სატყეო სამრეწველო მეურნეობიდან ხე-ტყის გამოზიდვის 6 თვის გეგმა მხოლოდ 8-ს ჰქონდა შესრულებული.

ცუდ მდგომარეობაშია ხე-ტყის დაცურების საქმე. ამ ხაზით დავალების შეუსრულებლობის გამო ხე-ტყის სახერხი ქარხნები თვეობითაა გაჩერებული. დაცურების 6 თვის გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა: გეგმით უნდა დაცურებულიყო 57.690 კუბიკური მეტრი სახერხი მორი. ფაქტიურად დაცურებულია 35.628 (გეგმის—61,8 პროც.), შეშა 37.650 კუბიკური მეტრის ნაცვლად დაცურებულია 15.258 (გეგმის—40,5 პროც.). საერთოდ ხე-ტყის დაცურების 6 თვის გეგმა შესრულებულია 52,5 პროცენტით.

ცხადია, ყოველივე ზემოთმოყვანილის გამო, ხე-ტყის სახერხი ქარხნები ვერ შეასრულებდენ მათზე მიცემულ დავალებას. პირველი ექვსი თვის განმავლობაში ქარხნებს უნდა დაეხერხათ 48.038 კუბიკური მეტრი ხე-ტყე. ფაქტიურად მხოლოდ 28.346 დახერხეს (გეგმის 59 პროცენტი).

როგორც მოყვანილი მაჩვენებლებიდან ჩანს სატყეო მრეწველობის არცერთ დარგს მთლიანად არ შეუსრულებია გეგმა.

ამ ჩამორჩენას ხელს უწყობდა მუშა-ხელის სრულიად არასაკმაო რაოდენობა (პირველ კვარტალში ყველა სამუშაო მუშა-ხელით საშუალოდ უზრუნველყოფილი იყო 65,4 პროც., აპრილში—27,3 პროც., მაისში —68,8 პროც.); ხელფასის დიდი დავალიანება (პირველ კვარტალში უდრიდა 3 ნახევარ მილიონ მანეთს, პირველ ივლისისათვის დავალიანება უდრის 3 მილიონს), ძირეულ საწარმოო რგოლებზე ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ სუსტი ხელმძღვანელობა და დახმარება, საგზაო მშენებლობის ჩამორჩენილობა (ამ სამუშაოზე ლიმიტები გვიან დაიყვანეს), საკუთარი ტრანსპორტის უქონლობა, გამწევი ძალის ნაკლებობა და სხვ.

საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, გარდა ჩამოთვლილისა, წარმოადგენს საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა და კულტურულ - მასობრივი მუშაობის მივიწყება.

საქართველოს სატყეო ტრესტმა, ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების დირექტივების თანახმად, ჩაატარა სატყეო სამრეწველო მეურნეობების რეორგანიზაცია. ამან უნდა უზრუნველყოს ძირეულ საწარმოო რგოლებზე კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა, ხარჯების შემცირება, პასუხისმგებლობის გაძლიერება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მეურნეობებზე შესაფერისი დახმარების აღმოჩენის საქმეში და ყოველივე ამის შემდეგ მოცემული დავალების აუცილებლად შესრულება.

რეორგანიზაციამ უეჭველად უნდა გაამართლოს თავისი დანიშნულება.

ტყის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციები და საქართველოს სატყეო ტრესტი უნდა შეუდგნენ ნამდვილ, ბოლშევიკურ ბრძოლას, წლის პირველი ნახევრის ჩამორჩენის გამოსასწორებლად და მეორე ნახევრის გეგმის აუცილებლად შესასრულებლად.

ტყის მუშაკებმა პარტიის და ხელისუფლების ეს უმნიშვნელოვანესი დავალება აუცილებლად უნდა შეასრულონ.

ვალ. ბაბუნია.

სასწავლო წლისათვის მზადება—აღმასკომების და საბჭოების განსაკუთრებული ყურადღება

მ. ი. კალინინის დეპეშა ავტონომიურ რესპუბლიკათა ცაკებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს

მუშაობის შემოწმება მხარეებსა, ოლქებსა და რაიონებში მოწმობს, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლების მზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

მეცადინეობის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. წინადადებას გაძლევთ აღმასკომებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა პირადი პასუხისმგებლობით დარაზმოთ მთელი ძალები და საშუალებანი სკოლების მოსამზადებლად ახალი სასწავლო წლისათვის, განსაკუთრებით ჩამორჩენილ დარგებში: სკოლის შენობების მშენებლობა, კაპიტალური რემონტი, სკოლების სავსებით უზრუნველყოფა სათბობით, მერხებით, სკოლის ყოფილი შენობების განთავისუფლება.

ამ მიზნით საჭიროა ფართოდ გაიშალოს სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1934 წ. 20 აპრილს გამოცხადებული კონკურსი სასოფლო საბჭოებისა ახალი სასწავლო წლისათვის უკეთ მზადებაზე, ამასთან მონაწილეობა მიაღებინოთ კონკურსში საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს. სამხარეო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეთ საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება და სასოფლო საბჭოების კონკურსი და 15 აგვისტოსათვის მიაწოდეთ სრულიად რუსეთის ცაკს ცნობები ჩატარებული მუშაობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის და მხარის სკოლების საერთო რიცხვიდან სკოლების რამდენი პროცენტია მზად ახალი სასწავლო წლისათვის.

ეს დეპეშა დაუყოვნებლივ აცნობეთ რაიაღმასკომებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოების ყველა თავმჯდომარეს.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი

საქ. განსახკომის საბჭოს პლენუმი

23 ივლისს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა საქართველოს განსახკომის საბჭოს პლენუმი, ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეების მონაწილეობით.

პლენუმზე ვრცელი მოხსენებით **„კულტურული მშენებლობის ამოცანების და განათლების ორგანოების გარდაქმნის შესახებ“** გამოვიდა განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ერ. გორდელაძე, რომელმაც საქართველოში სახალხო განათლების მდგომარეობის დახასიათებისა და მომავალი ამოცანების გარკვევის შემდეგ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ახალი სასწავლო წლისთვის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. — ამ უდიდესი ამოცანების განხორციელება, რომელიც სახალხო განათლების დარგში ჩვენს წინაშე დგას,—აღნიშნა ამხ. გორდელაძემ,—მხოლოდ განსახკომის აპარატით შეუძლებელია, საჭიროა ამ მხრივ მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა. როგორც ამხ. ლ. ბერია მიგვითითებს, პარტორგანიზაციებმა სკოლებს ისევე კონკრეტულ - ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ, როგორც ქარხანას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას და სხვ.

24 ივლისის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა აფხაზეთის განსახკომის ამხ. ზ. ზანთარიას მოხსენება ახალი სასწავლო წლისთვის მზადების შესახებ. გამოირკვა, რომ აფხაზეთში მზადება ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს აფხაზეთის განსახკომს ის, რომ თითქმის ყველა სკოლებმა მოკიდეს ხელი ციტრუსოვანი კულტურების გაშენებას. დღემდე მხოლოდ კოდორის რაიონის სკოლებს გაშენებული აქვთ 1328 ძირი მანდარინა, 32.959 სხვადასხვა ციტრუსოვანი მცენარე, 10,222 ძირი ევკალიპტი და სხვ.

თავის მოხსენებაში აჭარისტანის განსახკომი ამხ. ნაკაიძე მთავარ ყურადღებას აქცევს სასკოლო შენობებითა და ინვენტარით სკოლების უზრუნველყოფის საკითხებს. ამ მხრივ როგორც საქართველოს ბევრ რაიონში, ისე აჭარისტანშიაც არ ხდება ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ათვისება. მაგალითად, სასკოლო შენობათა მშენებლობაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულ 560 ათასი მანეთიდან დღემდე გამოყენებულია 202 ათასი მანეთი. სკოლების რემონტსა და ინვენტარის დამზადებას ხელს უშლის მინებისა და ლურსმნის საკმაო რაოდენობით უქონლობა. დღემდე საჭირო 2418 კილოგრამი ლურსმნიდან გამონახულია მხოლოდ ათასი კილოგრამი ლურსმანი. ამასთან მშენებლობა ვერ არის უზრუნველყოფილი ხე-ტყის მასალით.

აღსანიშნავია, რომ აჭარისტანში სანიმუშოდაა დაყენებული მასწავლებელთა ხელფასის გაცემისა და მომარაგების საქმე.

ციტრუსების გაშენებაში აჭარისტანის სკოლები არ ჩამორჩებიან აფხაზეთისას, ამ მხრივ წინ მიდიან მახინჯაურის სკოლა (გამგე ცქვიტინიძე), ქობულეთის, ხუცუბნისა და სხვ. სკოლები, რომლებმაც გააშენეს 2109 ძირი მანდარინი, 222 ათასი. ძირი ფორთოხალი, იაპონური ხურმა, ტრიფოლიატი და სხვ.

სამხრეთ ოსეთში (განსახკომი ბაგაევი) მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების გეგმა ვერ სრულდება, ცუდია მასწავლებელთა ხელფასისა და მომარაგების საქმე. დაწყებითი სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური კადრებით; სახელმძღვანელოების, რვეულების, გლობუსების და სხვა სასწავლო ნივთების მომარაგების მხრივ ცუდი მდგომარეობაა.

დანარჩენი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების მოხსენებიდან და მათ გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ახალციხის რაიონში, თუმცა ახალციხის რაიონის გან. განყ. გამგე პოზოევი შეეცადა მიეჩქმალა ეს გარემოება. ახალციხის რაიონში სასკოლო შენობების საგრძნობი ნაწილი უნუგეშო მდგომარეობაშია. სკოლებისა და სასკოლო ინვენტარის რემონტს ჯერ არ შესდგომიან. და სხვ.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ჭიათურაში (განყ. გამგე ლეჟავა). აქ აღსანიშნავია შავი ქვის ტრესტის (დირექტორი ბ. არუთინოვი) დახმარება სკოლებისადმი. კარგი მდგომარეობაა ლაგოდეხში (განყ. გამგე ზახტაძე), თელავში და სხვ.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადებაში ჯერჯერობით მოწინავე რიგებში დგას **აბაშის რაიონი** (განყ. გამგე ბ. კიზირია). აქ თავის დროზე შეუდგენ ახალი შენობების მშენებლობას და ძველის შეკეთებას, მშენებლობა მეტ წილად წარმოებს ადგილობრივი სახსრებით. სკოლები უზრუნველყოფილია სათბობით, ინვენტარი შეკეთებულია მთლიანად, კარგადაა დაყენებული სასკოლო დამხმარე მეურნეობები და საცდელი ნაკვეთები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თანხების ნებაყოფლობით შეგროვებას მოსახლეობაში. დღემდე აკრეფილია 46.450 მანეთი და 120 ფუთი სიმინდი, ხოლო სკოლების სასარგებლოდ გამართული საღამო-წარმოდგენების შემოსავალი უდრის 15.538 მანეთს.

დასასრულ საქართველოს განსახკომისარმა ამხ. ა. თათარიშვილმა შეაჯამა პლენუმის შედეგები და ვრცლად შეჩერდა იმ ახალ ამოცანებზე, რომლებიც დასმულია განათლების ორგანოების წინაშე ახალი სასწავლო წლისთვის მზადებასთან დაკავშირებით. პლენუმმა მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება განსახკომის მომავალ მუშაობას.

არტელ „შეერთებული ძალა“ უკეთესად უნდა მუშაობდეს

(ტფილისი)

საფეიქრო-სატრიკოტაჟო არტელი „შეერთებული ძალა“ (გამგეობის თავ.-მარე დომენტი მგელაძე) ერთ-ერთი მსხვილი არტელია. მისი წლიური ბრუნვა მილიონ 400 ათას მანეთს უდრის. არტელმა 1933 წლის მეოთხე კვარტალი სამრცხვინო გარღვევით დაამთავრა—გეგმა 37 პროცენტით შესრულა.

1934 წლის პირველ კვარტალში უკვე შესამჩნევი გარდატეხაა: 448.254 მანეთის პროდუქციის ნაცვლად 448.254 მანეთის პროდუქცია გამოუშვა (გეგმა შესრულებულია 104.7 პროცენტით). მაგრამ ეს მიღწევები არტელმა ვერ შეინარჩუნა და მეორე კვარტალი გარღვევით დაამთავრა. ეს უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ გამგეობის ხელმძღვანელობამ ხელოვნური აბრეშუმით ვერ მოამარაგა არტელი. არტელს მეორე კვარტალში უნდა გამოეშვა 432.000 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად გამოუშვა 397.670 მანეთისა (გეგმის 92,5 პროცენტი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არტელის ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს დანაკარგებთან ბრძოლას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ პირველ კვარტალში გამოშვებული პროდუქციიდან დანაკარგი უდრიდა 8 პროც., ხოლო მეორე კვარტალში—5,5 პროცენტს. არტელის გამგეობის თავმჯდომარეს **დომენტი მგელაძეს** და საფეიქრო სატრიკოტაჟო კავშირის ინსტრუქტორს ამხ. **ბლოხის** ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ და ამიტომ არ იბრძვიან იმისათვის, რომ დანაკარგი მინიმუმამდე დაიყვანონ.

არც საპაიო გამოსაღების გეგმაა შესრულებული. პირველ კვარტალში უნდა აეკრიფათ 3.409 მანეთი. ფაქტიურად აკრეფილია 3.275 მანეთი (გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით).

მეორე კვარტალში კი ნაცვლად 2.956 მანეთისა აკრეფილია 2.819 მანეთი (გეგმის 93,96 პროცენტი). გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი ისიცაა, რომ აქ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე არავინ არ ფიქრობს, მუშები არ არიან მიმაგრებული სასადილოზე. ადმინისტრაცია და საფეიქრო-სატრიკოტაჟო კავშირის გამგეობა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომებს არ ღებულობს.

არტელის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. მაგრამ ამას აქ ყურადღებას არ აქცევენ. სანამ სამქროს გარდა ტექმინიმუმის შემსწავლელი წრე არსად არ არსებობს. გამგეობის თავმჯდომარე დომენტი მგელაძე ამბობს: „მუშებმა შარშან „ფრიადზე“ ჩააბარეს ტექმინიმუმის წრეში გამოცდები, წელს რაღა საჭიროაო“.

არტელის ადმინისტრაციამ 1933 წელს 310 მუშიდან 50 მუშა დააჯილდოვა, წელს კი ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა, ყურადღება არ ექცევა დამკვრელი მუშების წახალისებას.

სარეწაო საბჭომ და საფეიქრო-სატრიკოტაჟო კავშირმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები არტელ „შეერთებული ძალის“ მუშაობის გარდასაქმნელად და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ვ. კილურაძე.

ციტრუსები

ალამბარის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობაში

(ქობულეთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ალამბარის ლიმონ - მანდარინის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. მელაძე) ახალი მოწყობილია. ციტრუსები აქ 47 ჰექტარზეა გაშენებული. აქედან მანდარინას დათმობილი აქვს 29,2 ჰექტარი, ლიმონს — 17,5 ჰექტ., ხოლო ფორთოხალს — 0,25 ჰექტარი. ლიმონი დამატებით უნდა გაშენდეს 27,5 ჰექტარზე. ამრიგად ალამბარის საბჭოთა მეურნეობაში მთავარი კულტურა ლიმონია.

საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა ხსენებულმა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა, — 5.000 ძირის ნაცვლად, დარგო 7.325 ძირი ლიმონი.

ცალკე სამუშაოების თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარების შედეგად ციტრუსოვანი ნერგები მეურნეობაში საუკეთესოდ გამოიყურებიან. პლანტაცია დროზე გაანოყიერეს სასუქით, გაწმინდეს სარეველა ბალახებისაგან, გააფხვიერეს ნიადაგი ნერგების ძირში, ჩაატარეს ბრძოლა ფარიან მავნებლებთან, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო.

პლანტაციებში ამჟამად ისევ არის შემჩნეული მავნებლები, რომლების წინააღმდეგაც სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს წამლობა. საჭირო შხამები და აპარატურა მეურნეობას საკმაო რაოდენობით მოეპოვება.

პლანტაციების მოვლა - დამუშავების მხრივ ყურადღებას იპყრობს პირველი რაიონის პირველი ნაკვეთი (აგროტექნიკოსი სკანდერ გოგიტიძე). კარგად არის მოვლილი აგრეთვე მეორე რაიონის პირველი ნაკვეთი (აგროტექნიკოსი მემედ ჯინჭარაძე). მათ პლანტაციებში სარეველა ბალახს ვერ ნახავთ. აქ ნერგი სწრაფად იზრდება და მავნებლებიც ნაკლებად ვრცელდება.

ალამბარის საბჭოთა მეურნეობის ჩამორჩენილ უბანს **საბინაო მშენებლობა** წარმოადგენს. მუშებისათვის არ აქვთ საცხოვრებელი ბინები. მუშები სოფლებში ცხოვრობენ და იძულებული არიან ყოველდღიურად გაიარონ ფეხით 6—7 კილომეტრი. მუშათა სასადილო მოწყობილია მიწურ ქოხში. პურის წერტი მოთავსებულია ნაქირავებ შენობაში.

ყოფაცხოვრების მოუწესრიგებლობის გამო მეურნეობა სისტემატურად განიცდის მუშა - ხელის ნაკლებობას.

გეგმის თანახმად ალამბარის საბჭოთა მეურნეობამ წელს უნდა ააშენოს სტანდარტული სახლები 16 ოჯახისათვის და საცხოვრებელი ბინები 75 კაცისათვის. უნდა აშენდეს აგრეთვე შენობა მეურნეობის, სამმართველოსათვის, კლუბი, სასადილო, ფურნე, გარაჟი, სამჭედლო-სახელოსნო, წისქვილი, საჯინიბო, აბანო და ელექტრო - სადგური.

კაპიტალურ მშენებლობისათვის მიმდინარე წელს გადადებულია 195.000 მანეთი. აქედან დღემდე სრულიად უმნიშვნელო თანხაა ათვისებული.

კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენის მიზეზად მეურნეობის დირექცია საშენი მასალის ნაკლებობას ასახელებს. ნამდვილად კი მუშაობის გაშლას ხელს უშლის მეურნეობის ხელმძღვანელთა მოუქნელობა. დირექციამ ვერ უზრუნველჰყო მშენებლობისათვის საჭირო მიწის სამუშაოების გეგმის შესრულება. დირექციამ საშენი მასალის დროზე გადმოზიდვაც კი ვერ მოახერხა.

ალამბარის საბჭოთა მეურნეობის მუშებს შორის არ წარმოებს კულტმასობრივი მუშაობა. შრომის სოციალისტური მეთოდის დანერგვას მუშკომი ზერელედ ეკიდება. ბრიგადებს შორის სოცხელშეკრულება ფორმალურად არის დადებული, მუშები არ იცნობენ ამ ხელშეკრულების შინაარსს.

მოუწესრიგებელია საზოგადოებრივი კვება; სასადილოში კეთდება ცუდი ხარისხის კერძები.

საგაზაფხულო სამუშაოების შესრულების დროს ქობულეთის რაიონის პარტორგანიზაციამ და მუხაესტატეს სოფ. საბჭომ დიდი დახმარება აღმოუჩინეს ალამბარის საბჭოთა მეურნეობას. ასეთი დახმარება ახლა უფრო საჭიროა.

ქობულეთის რაიონის პარტორგანიზაციამ თავისი სწორ ხელმძღვანელობით და კონკრეტული დახმარებით ხელი უნდა შეუწყოს ალამბარის საბჭოთა მეურნეობას და უმოკლეს ხანში შეასრულებინოს მას კაპიტალური მშენებლობის გეგმა.

პ. კეკელია.

ციტრუსების პლანტაცია ვადაზე უნდა გაითოხნოს

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

ციტრუსოვანი ნარგავების თოხნა საქართველოში **არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.**

პირველი თოხნა, რომელიც 1 ივნისისათვის უნდა დამთავრებულიყო, **ხობის** რაიონში დამთავრებული ჯერაც არ არის, ჩამორჩენილი არიან ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობები და სხ. ორგანიზაციები, რომლებსაც 25 ივლისისათვის პირველად გათოხნილი ჰქონდათ პლანტაციების 15 პროცენტი.

მეორე თოხნის (1 ივლისს უნდა დამთავრებულიყო) გეგმა 25 ივლისისათვის შესრულებული იყო (ყველა რაიონებში) 56,2 პროც.

აფხაზეთში შესრულებულია მეორე თოხნის გეგმის 12,6 პროც. (მეორე თოხნა ჩატარებული აქვთ მხოლოდ ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებს), **აჭარისტანში**—80,5 პროც., **ფოთის** რაიონში—80,3 პროც., და **ზუგდიდში**—55,8%.

ზუგდიდის, სენაკის და ლანჩხუთის რაიონებს ციტრუსოვანი პლანტაციების მეორე თოხნის გეგმა შესრულებული აქვთ 100 პროცენტით.

მესამე თოხნა 1 აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს. 25 ივლისისათვის შესრულებული იყო მე-3 თოხნის გეგმის 42,4 პროც., ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული აქვთ მეორე თოხნის გეგმის 62,2 პროც., დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებს და ორგანიზაციებს—28 პროც., ხოლო კოლმეურნეობებსა და **ერთპიროვნულ** მეურნეობებს — 45,2 პროც.

აფხაზეთში შესრულებულია ციტრუსოვანი პლანტაციების მესამე თოხნის გეგმის 1,7 პროც., აჭარისტანში—54,2 პროც. ფოთის რაიონში—57,1 პროც., და ლანჩხუთის რაიონში—100 პროც.

ოზურგეთის, ზუგდიდის, ხობის და სენაკის რაიონებს მესამე თოხნის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ არ გადმოუგზავნიათ.

ციტრუსოვანი პლანტაციების დამუშავების მხრით **წინ დგანან ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გეგმებს ყველაზე ადრე ასრულებენ.**

მათ მაგალითს სხვა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმაც უნდა მიმართონ, გადაჭრით გააძლიერონ ციტრუსოვანი პლანტაციების დამუშავების ტემპები და ყოველი ცალკე სამუშაო ვადაზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

ჩაქვის სანერგე სანიმუშოა

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის სუბტროპიკულ კულტურათა სანერგემ წელს უნდა დამყნოს **15.000 ძირი ლიმონი და 35.000 ძირი მანდარინი.** ამ დავალების შესრულებისათვის მეურნეობა **უკვე მზად არის.** ტრიფოლიატის სანერგე (საძირე) 20 ივლისამდე სამჯერ იქნა გათოხნილი. სანერგეში მოსპობილია სარეველა ბალახი, ნიადაგში შეტანილია სასუქი. სამყნობად გამოყოფილია ლიმონისა და მანდარინის ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჯიშიანი ხეები. რომლების კვირტებიც გამოყენებული იქნება სამყნობად.

სოხუმი, სუბტროპიკული ხეხილი — მუშმულას კრეფა

მეურნეობა უზრუნველყოფილია მყნობელებით; მან თვითონ აღზარდა აჭარისტანში დღეს უკვე ცნობილი მყნობელები **დურსუნ ნაკაშიძე კ. ლორია, დ. მოქერია, ხალვაში** და სხვები, რომლებიც ენერგიული მუშაობისათვის და ნამყენის საუკეთესოდ მოვლისათვის დაჯილდოვებულ იქნენ კომკავშირის ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მიერ.

ამ საუკეთესო მყნობელებისაგან შემდგარი ბრიგადა უზრუნველყოფილია სამყენი დანებით, რაფიით (ნამყენის შესახვევი მასალაა) და სხვ.

სანერგე მასალის დამზადების დაჩქარების მიზნით სპეციალისტ **კოტე ქარცივაძის** ხელმძღვანელობით აქ პირველად ტარდება 30.000 ძირი ტრიფოლიატის მწვანე პიკიროვკა (გადარგვა), რაც დაახლოებით **ერთი-ორი წლით აჩქარებს საძირის გამოყვანას.**

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას მომავალი წლისთვის უკვე მზად აქვს 4.500 ძირი ლიმონის, 9.000 ძირი ხურმის, 2.200 მანდარინის, 615 — ფეიხოას, 200 — ანონას და 1.000 ძირი მუშმულას ნერგი. ჩამოთვლილ კულტურების სანერგე **სანიმუშოდ არის მოვლილი.**

ჩაქვის სუბტროპიკული სანერგის მუშები და სპეციალისტები სიტყვას იძლევიან, რომ სანიმუშოდ შეასრულებენ საზაფხულო მყნობის გეგმას და საუკეთესოდ მოუვლიან ციტრუსების ახალ ნერგებს.

დ. ფაილოძე.

მეორე რიგის მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ზესტაფონი, „კომუნისტი“-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში სულ უნდა დაიდგას 18 ელექტროღუმელი, უნდა მოეწყოს მთელი რიგი დამხმარე ნაგებობები, მუშათა საცხოვრებელი ბინები, ბარაკები, კულტურული დასვენების შენობები და სხვ.

დღემდე დადგმულია სამი ღუმელი, აშენებულია საკაზმო სამქრო, რომელიც მთლიანად უზრუნველ[illegible]ყოფს 18 ღუმელის მუშაობას, 7 საცხოვრებელი სახლი, კლუბი, მექანიკური სამქრო, წყალსადენი, ელექტროსადგური მთელი მოწყობილობით და სხვ. მაგრამ ამით არ ამოიწურება მშენებლობა. კიდევ უნდა აშენდეს მთელი რიგი როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ობიექტები.



ფერო. ტექნიკური წრეებ[illegible] ხელმძღვანელებ ინჟ. ილ: [illegible] ინჟ: ლადო მე[illegible]

პირველ 6 თვეში მეორე რიგის მშენებლობა ძალზე ჩამორჩა. ცალკე ობიექტების მიხედვით პირველ ივლისისათვის გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: სალუმელე კორპუსის მშენებლობა შესრულებულია 37 პროც., სტანდარტული სახლის — 75 პროც., მარგანეცის ბუნკერების გადახურვა—69 პროც., ექვს ბინიანი სახლის მშენებლობა — 52,6 პროც., მექანიკურ სახელოსნოს სამჭედლოს — 68 პროც., ქარხნის შარაგზა — 95 პროც., ბეტონის ლობე — 84 პროც., წყალსადენის ლობე — 25 პროც., ეს უკანასკნელი მეორე კვარტალში უნდა დაწყებულიყო და მზად უნდა ყოფილიყო 21 პროცენტით, — ფაქტიურად არაფერი გაკეთებულა, მშენებლობა ჯერაც არ არის დაწყებული; საავადმყოფოს მშენებლობის გეგმა შესრულებულია 1,5 პროცენტით.

რა არის ჩამორჩენის მიზეზი?

ცუდი ხელმძღვანელები, მუშახელის ნაკლებობა, საამშენებლო მასალებით მოუმარაგებლობა, „საქქარხმშენის“ სრულიად შეუფერებელი ხელმძღვანელობა და სხვ.

მშენებლობაზე უნდა მუშაობდეს 700-მდე მუშა, ფაქტიურად მუშაობს მხოლოდ ნახევარი — 330 კაცი.

ამჟამად მუშაობას აფერხებს საამშენებლო მასალების (ცემენტი, ლურსმანი) უქონლობა.

„საქქარხმშენის“ ცენტრალური სამმართველო (მმართველი ამხ. მხიტაროვი), რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს მთელ მშენებლობას, ნაცვლად დახმარებისა, ხელს უშლის მას. ამას წინათ ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანამ გადასცა 11[illegible] ლურსმა[illegible] 17 [illegible] ლურსმ[illegible] დანარჩენი [illegible] გამოურკვეველ[illegible]

აღებული ტემპები [illegible] ვერ უზრუნველყოფს მეორე რიგის მშენებლობის დამთავრებას ვადაზე. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და ტრესტი „საქქარხმშენმა“ უნდა მიიღონ ყველა გადამჭრელი ზომები მშენებლობის უზრუნველყოფისათვის საამშენებლო მასალებით და მუშა - ხელით.

ვ. ბ.

ვინ გაანიავა საკოლმეურნეო ქონება

სოფ. ლილველის (ბაღდათის რაიონი) კოლმეურნეობა აერთიანებს 50 წევრს. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა პარტწევრი **გრიგოლ ხითრდია** და ბრიგადირი მ. ზიბზიბაძე. ეს პირები ფლანგავენ საკოლმეურნეო ქონებას და უკანონოდ ითვისებენ შრომა-დღეებს.

1933 წლის მოსავლიდან საბოლოო განაწილებისათვის შეინახეს სიმინდი და ღვინო საკმაო რაოდენობით. ა.-წ. აპრილში საბოლოო განაწილების დროს კოლმეურნეობას შენახული მოსავლიდან დააკლდა 80 ფუთი სიმინდი და 25 ფუთი ღვინო. სიმინდი შენახული იყო **ხითრდიას** მამის ბეღელში, რომელიც არ იყო ლუქით დაბეჭდილი, ღვინო კი თვითონ **გრიგოლ ხითრდიას** სახლში ინახებოდა, და იგიც ხარჯავდა მას სურვილისამებრ, რის გამო კოლმეურნეთა შრომა-დღეების ნაწილი აუნაზღაურებელი დარჩა.

გასულ წელს აღნიშნულმა პირებმა 15 ღორი (ნაწილი კოლმეურნეობის და ნაწილი ინდივიდუალურ მეურნეთა) დაკლეს და თვითონვე მოიხმარეს. მათვე ა.-წ. თებერვალში დაკლეს **ლავრენტი შველიძის** ღორი და იქვე კანტორის შენობაში გაინაწილეს. ეს შეამჩნია **ალ. მეფარიშვილმა** და **გიორგი კაცაძემ.**

კოლმეურნეობის ბრიგადირი **მ. ზიბზიბაძე** ზემოჩამოთვლილ დანაშაულთა გარდა ბოროტად იყენებს თავის მოვალეობას და კოლმეურნეობის წევრების მიერ გამომუშავებულ შრომა-დღეებს ითვისებს. მას მითვისებული აღმოაჩნდა 3026 კვ. საჟენი ყანის ხვნათესვისა და გამარგვლის შრომა დღეები; კიდევ მეტი, კოლმეურნეობის წევრი **დ. შველიძე** 25 შრომა-დღის გამომუშავების შემდეგ ავად გახდა და მთელი წელიწადი გაუცდა, რისთვისაც ამ ვაჟბატონებმა კოლმეურნეობიდან გარიცხეს და 25 შრომა-დღე თვითონ მიითვისეს.

ბაღდათის პარტ-რაიკომიდან ამ კოლმეურნეობაზე პროპაგანდისტად მიმაგრებულია **გრიგოლ ხითრდიას** ძმა **ალექსანდრე ხითრდია**, სპეციალობით ზეინკალი, რომელმაც კარგად იცის ზემო აღწერილი ბოროტმოქმედებანი, მაგრამ რატომღაც ფარავს და თვითონაც ღებულობს მონაწილეობას შრომა-დღეების უმიზნოდ დახარჯვაში. მან მდინარე ხანის წყალზე დაიწყო ხის სახერხი მანქანის მოწყობა ყოველგვარი წინასწარი პროექტისა და გეგმის გარეშე, რომელზედაც დახარჯულია კოლმეურნეობის წევრთა 400 შრომა-დღე. შრომის შედეგი ყოვლად გამოუსადეგარია, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეთა შორის.

კოლმეურნეობის ეს „ხელმძღვანელები“ ახშობენ თვითკრიტიკას. ალ. მეფარიშვილი, რომელიც ამხელდა კოლმეურნეობის დეფექტებს, ხსენებულმა ვაჟბატონებმა რამდენიმე დღით სამუშაოზე არ დაუშვეს. როდესაც ეს საკითხი დაისვა ბაღდათის პარტრაიკომში საქმის გამოსარკვევად რაიკომმა გაგზავნა ჯიხვაძე (გ. ხითრდიას მამიდაშვილი), რომელმაც „მამიდაშვილურად“ გამოარკვია საქმე და ალ. მეფარიშვილი მუქარით გაისტუმრა. მეორე დღეს ჯიხვაძე ესტუმრა ბაღდათის პარტრაიკომს და მოახსენა, რომ კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზეაო.

მოვითხოვთ კოლმეურნეობის გაწმენდას ასეთი გადაგვარებულ ელემენტებისაგან და დამნაშავე პირთა სასტიკად დასჯას.

„იქაური“.

რედაქციისაგან: „კომუნისტი“ მოელის ამ საქმეში საქ. კ.პ. (ბ) ბაღდათის რაიკომის დაუყოვნებლივ ჩარევას და ამ წერილში მოყვანილ კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებას.

გამოხმაურება გამოუქვეყნებელ წერილზე

გოგოლაშვილი და გოდველი მიცემულია პასუხისგებაში

„კომუნისტის“ რედაქციამ ა.-წ. 18 ივლისს თიანეთის რაიონიდან მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სოფ. თოლენჯის კოლმეურნეობის საწყობის გამგე **კოლა გოგოლაშვილი** და კოლმეურნეობის წევრი **ქ. გოდველი** ანიავებენ საკოლმეურნეო მარცვლეულსა და კოლმეურნეთა ცხვრებს.

„კომუნისტის“ რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გადუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) თიანეთის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. დამნაშავენი **ქ. გოგოლაშვილი** და **ქ. გოდველი** პასუხისგებაში არიან მიცემული.

კალ. ფირცხალაიშვილი

ციტრუსოვანთა ბაღებში

მთელი კოლხიდა აფერადებულია ციტრუსოვანებით. მათი თვალწარმტაცი ბაღებით დაფარულია გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარისტანი.

მაღლობი და დაბლობი კოლხიდა შემოხაზულია ციტროსოვანთა ულამაზესი ბაღებით. აქ ყოველ ნაბიჯზე ილიმება ჯერ კიდევ ძველთაგან ნაქები, აქაური ნიადაგის გასაოცარი თვისებების მაჩვენებელი ხეხილი:

თუ იცნობ მხარეს, სადაც ჰყვავის ლიმონთა ბაღი,
და ფოთლებს შორის ოქროსავით ბრწყინავს ნარინჯი,
სადაც ნიავი ლაჟვარდოვან ცის ქვეშ შრიალებს,
სადაც ხარობენ მორცხვი მირტი და დაფნა დინჯი...

კოლხიდა მართლაც გაოცებს თავის შესაძლებლობით, ის აღტაცებას იწვევს თავისი კულტურების მომჯადოებელი ფერების მოზაიკით.

გემრიელი და სამკურნალო ლიმონები. ტკბილი მანდარინები, ფორთოხლები...

ციტრუსოვანებს უპირველესი ადგილი უჭირავთ მსოფლიოს ხილეულთა შორის.

მრავალი ქვეყანა ცდილობს ამ კულტურათა განვითარებას. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით შეუდგა ციტრუსოვანთა გაშენებას ამერიკა.

ამერიკაში ციტრუსოვანები გაშენებულია 214152 ჰექტარზე. მას მოსდევს: იტალია—108400 ჰექტარი, ესპანეთი—68981 ჰექტარი, ბრაზილია—38661 ჰექტარი, იაპონია—36801 ჰექტარი.

შემდეგ ციტრუსოვანთა პლანტაციების რაოდენობის მხრივ ერთმანეთს მიჰყვებიან: ავსტრალია, არგენტინა, სამხრეთ აფრიკა, ალჟირი, პალესტინა.

ციტრუსოვანთა წლიური მოსავალი მსოფლიოში სამნახევარ მილიონ ტონას აღწევს. ციტრუსოვანთა მოხმარება ყველაზე დიდია ამერიკაში.

რა არის მიზეზი ციტრუსების ამ დიდი უპირატესობისა სხვა ხილის წინაშე?

წარსულში ამის გამოცნობას ეძებდენ. „ცათა წიაღში“! „სასწაულებში“!

ციტრუსოვანების გამო მრავალი ზღაპრები და თქმულებებიც კი წარმოიშვა...

მეცნიერების გიგანტურმა განვითარებამ ჩვენს დროში ციტროსოვანები გადააქცია მსოფლიო ლაბორატორიების ობიექტად და ზღაპრული „სამოთხის ვაშლი“ მოგვევლინა დღეს ვიტამინებით უმდიდრეს ხილად.

განსაკუთრებით იმ უძვირფასესი ვიტამინით, რომელსაც ეწოდება ვიტამინი „ს“. მეცნიერებამ ვიტამინების შესახებ ნათელი და აშკარა გახადა ის, რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მითოლოგიას და ხალხის ცრუმორწმუნოების სფეროს ეკუთვნოდა. მეცნიერებამ გამოარკვია ვიტამინების უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისათვის. ვიტამინები მრავალია... მაგრამ მათ შორის ორგანიზმისათვის უპირველესი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვიტამინ „ს“, რომელიც ლიმონში და ფორთოხალში უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე სხვა ხილში. ამ ვიტამინით მდიდარ ნაყოფს ძვირფასი სამკურნალო თვისებები აქვს.

ციტრუსოვანები შეიცავენ კიდევ „ა“ და „ბ“ ვიტამინს..

„ა“ ვიტამინი ხელს უწყობს ბავშვების ზრდას.

მედიცინის უკანასკნელ აღმოჩენას შეადგენს რახიტიზმის და კუჭის სნეულებათა საწინააღმდეგო რადიკალური პრეპარატი, რომელშიც შედის ლიმონის წვენი, შაქარი, რძე და წყალი. ციტრუსოვანების სამკურნალო თვისებები დამტკიცებულია თანამედროვე მეცნიერების შრომებით. პროფესორი ცერევიტინოვი სწერს: „ლიმონი და ფორთოხალი შეიცავენ „ს“ ვიტამინის დიდ რაოდენობას და ამიტომ სკორბუტის და აგრეთვე ნივთიერებათა გაცვლის დარღვევის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ. ჯერ კიდევ 1796 წლიდან ინგლისში გამოქვეყნდა კანონი, რომლის ძალით შორსმავალი გემები ვალდებული იყვნენ ჰქონოდათ მგზავრობის დროს ლიმონის წვენის საკმარისი მარაგი“*)

თავის დროზე მიღებული ლიმონის წვენი გვიცავს „ზღვის ავადმყოფობისაგან“. ლიმონის წვენი საშუალებაა ნიკრისის (პოდაგრის) წინააღმდეგ.

ლიმონის წვენით მკურნალობენ რევმატიზმით, ნაღვლის ქვებით და შაქრის ავად მყოფობით დაავადებულთ.

ლიმონის წვენით სარგებლობენ ქირურგები ჭრილობების შესახორცებლად.

ლიმონის წვენით ებრძვიან სისხლნაკლებობას...

მეცნიერულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ციტრუსოვანებს აქვთ იშვიათი გამახალისებელი გავლენა მოხუცებულებზე, აჯანსაღებენ სხეულს და მატებენ მას გამძლეობას შხამიან გამონაყოფთა წინააღმდეგ...

სწორედ ამაშია „ს“ ვიტამინის მნიშვნელობა.

აი რაში მდგომარეობს ლიმონით, ფორთოხლით და სხვა ციტრუსოვანებით გაახალგაზრდავების საიდუმლოება.

ციტრუსოვანთა კულტურას აქვს სხვა უპირატესობაც: დიდი ეკონომიური ეფექტიობა. განსაკუთრებული შემოსავალი. უცხოელი აგრონომების ცნობებით, წელიწადში ერთი ჰექტარი მიწა იძლევა შემოსავალს:

ზეთის ხილი 650 პესეტს, ყურძენი 850 პესეტს, ციტრუსოვანები 32000 პესეტს.

ციტრუსოვანთა ხეები დიდი მოსავლიანობით განირჩევიან. ინდოეთში კარგი მოსავლის დროს ფორთოხლის ხე იძლევა რამდენიმე ათას ნაყოფს.

ნაკლები მოსავალია კალიფორნიაში. აქ ერთ ხეზე მოდის 400—600 ცალი ფორთოხალი.

საქართველოში აღრიცხულია სამი ათას ნაყოფიანი ფორთოხლის ხე.

ციტრუსოვანი მცენარე მოსავლიანობის მხრივ მართლაც რომ უნივერსალურია. ეს ისეთი ხეა, რომლის ყველა ნაწილს, ყველა ნარჩენს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში. საბჭოთა ციტრუსოვანების მკვლევარი კოჟინი ამ მცენარის საერთო სამეურნეო მნიშვნელობის გაზუსტებულ შეჯამებას იძლევა:

„არა მარტო ნაყოფი, არამედ ყვავილები, ფოთლები, ახალი ტოტები და გასხვლის ნარჩენები, ჩამოცვივნული და საჭმელად უვარგისი ნაყოფები, მწიფე ნაყოფის კანიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეთეროვანი ზეთების და ესენციების მისაღებად... თვით ხის მერქანიც საუკეთესო საშენ მასალას წარმოადგენს“...

ციტრუსოვანის სამშობლო აღმოსავლეთია. აქედან გავრცელდა ის დასავლეთში და მთელ ქვეყანაზე და დაატკბო ის თავისი იშვიათი ნაყოფის გემოთი და ნექტარით. ციტრუსოვანების მკვლევარი ტანაკა ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ეს კულტურა გაჩნდა ჰიმალაის რაიონებში და მის მოსაზღვრე მთიან ჩინეთში. აქედან ციტრუსოვანები თანდათანობით ვრცელდება სამხრეთ ჩინეთში, ედება ინდოეთის არქიპელაგს, ფეხს იკიდებს იაპონიაში და აღწევს ძველ ქვეყნებამდეც — მიდიასა, სპარსეთსა, ეგვიპტესა და საბერძნეთამდე.

ასეთია ამ კულტურის საერთაშორისო „მარშრუტი“. ციტრუსოვანი მრავალჯიშოვანი კულტურაა. მისი ჯიშები სამასამდე აღწევს და მათი წარმოშობის ისტორიის გარკვევა მეტად რთული ამოცანაა.

ძველ საქართველოში ამ კულტურის არსებობას ცნობილი გილდენშტედტი და სხვა უცხო მოგზაურებიც ამოწმებენ.

ცარიზმს აქ ციტრუსოვანების საკმარისი რაოდენობა დახვდა, მაგრამ მათ განვითარებას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ხადმე საცდელ სათბურში თუ წააწყდებოდა კაცი მაშინ ფორთოხალსა და ლიმონს.

კოლხიდის მშრომელი გლეხობა აკვირდებოდა ამ ცდებს... ის მიხვდა, რომ კარგ რამეს ჰპირდებოდა მას ნაყოფიერი ნიადაგი. გლეხი ბედავს და ეკითხება მეფის სათბურებში მომუშავე სწავლულ აგრონომს:

— რა ხეა, რომელ ქვეყანაში მოდის ახეთი ხილი?

— რა შენი საქმეა!..

— კი, მარა, ჩემს ბაღჩაშიც რომ ახაროს?

— შენისთანების საქმე არ არის მეთქი!.. წულაყბობ. ჩქარა გადაბარე!..

მეფის სწავლული ლაქიები გასაქანს არ აძლევდენ ძვირფას კულტურებს, თუმცა გლეხი დიდი ინტერესით შესცქეროდა მათ ცდებს. ის ოცნებობდა თავის პატარა ეზოშიც მოეხინჯა ციტრუსოვანი, თითონაც დაკვირვებოდა მას.

მშრომელი გლეხის ინტერესი ციტრუსოვანისადმი ისე დიდი იყო, რომ ის ხშირად ფარულად გააპარებდა ხოლმე ნერგს სათბურიდან, ჩარგავდა ბაღჩაში და თავს ევლებოდა მას. ქობულეთში არის სამი ძირი მანდარინა; თვითეული მათგანი სამი ათასამდე ნაყოფს იძლევა. ეს „ნაქურდალი“ მანდარინებია. ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ ვერ მოარბილა დირექტორი, მან ნაღდზედაც არ გასცა ნერგი, რომელიც სათბურის მუშას აინტერესებდა და ამის შემდეგ დიახაც რომ ნება დაურთველად გადარგა გლეხმა მანდარინა თავის ეზოში და ისეთი სიყვარულით უპატრონა მას, რომ სანიმუშო ხე გამოზარდა.

ციტრუსოვანების განვითარებას საქართველოში პირდაპირი კავშირი აქვს რეჟიმის კლასიურ ხასიათთან. 1901 წელს, რეაქციის უსასტიკეს თარეშის ხანაში, საქართველოში მხოლოდ ასიოდე ძირი ციტრუსოვანი თუ ჩამოითვლებოდა.

მეფის და მენშევიკების ბატონობის დროს ციტრუსიც, თითქოს დაშინებული, გარინდებულად გამოიყურებოდა სათბურებიდან.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ციტრუსოვანთა მეურნეობის გენერალურ მშენებლობას და ამის შემდეგ ეს ძვირფასი კულტურა წამყვან ადგილს იჭერს ჩვენს სუბტროპიკულ მებაღეობაში.

საბჭოთა მუშაკებმა ჩქარა განავითარეს ციტრუსოვანთა მეურნეობა. საკავშირო ცენტრებმა კოლხიდიდან მიიღეს ციტრუსოვანი ხილი:—1927 წელს — ოთხმოცდა ათი ვაგონი, 1928 წელს—ორას ოთხმოცდა ათი ვაგონი!.. საბჭოთა პირობებში ამ დიდმა საქმემ ისეთი მძლავრი ტემპით იწყო ზრდა, რომ ჩვენ 1929 წლიდან საშუალება მოგვეცა დაგვეწყო საბჭოთა ციტრუსოვანების ექსპორტიც.

ეს კულტურა დიდ გავლენას ახდენს კოლმეურნეთა და მშრომელ გლეხობის ეკონომიკაზე. სუბტროპიკულ რაიონებში ციტრუსოვანები გლეხობის ნივთიერი უზრუნველყოფის ფაქტორი ხდება, ის ხელს უწყობს კოლმეურნის ეკონომიურ დაწინაურებას, მის გადაქცევას შეძლებულ კოლმეურნედ, ყოფა-ცხოვრების კულტურულად მოწყობას...

ეხლა ეს კულტურა სწრაფად ვითარდება ჩვენში სწორედ იმიტომ, რომ გლეხობა საბოლოოდ დარწმუნდა მის შეუდარებელ შემოსავლიანობაში, დარწმუნდა იმაშიც, თუ რა დიდ დახმარებას აძლევს მას მთავრობა ამ საქმეში.

ციტრუსოვანი მცენარე მეტად სათუთი კულტურაა და სახელმწიფოს დაუხმარებლად მისი ფართოდ განვითარება შეუძლებელიც იქნებოდა.

ციტრუსოვანი ხე მუდმივ დაფარულია მწვანე, მოვერცხლისფერო ფოთლებით და სურნელოვანი ყვავილებით.

ციტრუსოვანს მეტად უყვარს სითბო და ვერ იტანს დიდ სიცივეს.

ჩვენი ციტრუსოვანების მთავარი წარმომადგენელი არის მანდარინი, რომელიც ჩინეთიდან და იაპონიიდან წაიღო მსოფლიო სუბტროპიკებს. ეს უკურკო ნაყოფია, განსაკუთრებით სასიამოვნო და მარგებელი წვენით. არის მრავალი ჯიშის მანდარინი: „უნშიუ“, „შივა-მიკანი“, „ბენი-მიკანი“, „ნანსუმიკანი“...

მანდარინის ყველა ჯიში განსხვავდება ერთმანეთისაგან ნაყოფის ფორმით, გემოთი და ფერით.

ვიტამინებიანი ლიმონი. ციტრუსოვანთა შორის ლიმონს საგანგებო ადგილი უკავია. ჩვენ უკვე გავეცანით ლიმონის სამკურნალო მნიშვნელობას. მისი მჟავე, სიტკბო-ნარევი წვენი ავადმყოფის მანუგეშებელი და გამახალისებელია...

ლიმონის ცნობილი ჯიშებია:—სამო გემოიანი მორგვალო „მელაროზე“, „პალერმო“, მსხვილნაყოფა „მონსტროუოზები“, „სპარსული ლიმონები“... მახინჯაურში და ათონზე გამოიყვანეს ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც კარგად ეგუებიან ჩვენ ჰავას. ლიმონებიც განირჩევიან ერთმანეთისაგან ნაყოფის გემოთი, მოყვანილობით, სიდიდით; ლიმონის ხე აყვავებულია მთელი წლის განმავლობაში. ამ შესანიშნავ ხეზე ხშირად ერთდაიმავე დროს არის ყვავილიც, მწიფე ნაყოფიც და უმწიფარი მწვანე ნაყოფიც.

დამატკბობელი ფორთოხლები. ესეც მრავალჯიშიანი ციტრუსოვანია. ჩვენში ფორთოხლის მრავალმა ჯიშმა გაიდგა ფესვები.

— „იაპონური ჯიში“, „იაფა“, „პალერმო“.

გვაქვს სხვილნაყოფა ამერიკული ჯიშიც. ხარობს „იერუსალიმისაც“, „ნეაპოლის“, „სმირნის“...

ყველა ეს ჯიში შეეგუა ჩვენს ბუნებას, მაგრამ მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით სასარგებლო დარჩა „იაპონური“ და „იაფა“-ს ჯიშები, ფორთოხალი ცნობილია ჭარბ სიტკბოს და ზომიერი სიმჟავის შეფარდებით. ჩვენი ციტრუსოვანების სპეციალისტებმა გამოიმუშავეს ფორთოხლის ადგილობრივი ჯიშები, რომლებსაც სამო გემო აქვთ. იშვიათი და მეტად ძვირფასი ციტრუსოვანია „გრეიფრუტი“. ეს ლიმონის და ფორთოხლის ნარევია. „გრეიფრუტი“ ციტრუსოვანებიდან ყველაზე უგემრიელესი ნაყოფია.

ჩვენი სუბტროპიკები უკვე მოხინჯულია ამ კულტურისათვის. ფოთში დაარსებულია სპეციალური ტრესტი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ფოთის დაჭაობებულ რაიონს ამ ძვირფასი ხილის მომხიბლავ ბაღნარად გადააქცევს.

ციტრუსოვანთა ბაღებს ამშვენებს იოდოვანი ფეიხოაა.

ფეიხოა მეტად გემრიელ ნაყოფს იძლევა. მის ნაყოფში ბევრია იოდი და ვიტამინები, ამიტომ ამ ხილს განსაკუთრებული სამკურნალო მნიშვნელობა აქვს გულით ავადმყოფებისათვის. ეს ნაყოფი ხელს უწყობს სისხლის გამტარი მილების გაწმენდას, ანელებს სკლეროზს, ახალისებს სხეულს.

ჩქარი ტემპით ვითარდებიან საბჭოთა ციტრუსოვანები. ციტრუსოვანთა მეურნეობის გეგმიან მშენებლობაში გამოიხატა „საბჭოთა ფლორიდის“ და „საბჭოთა კალიფორნიის“ დიადი მომავალი. ენტუზიასტ დამკვრელთა მასები აშენებენ ჩვენს ციტრუსოვან მეურნეობას, რომელიც თავისი მწიფე ნაყოფის ბაჯაღლო ფერით დაამშვენებს წითელ კოლხიდას...

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მითითებამ ამ ძვირფასი კულტურის ყოველმხრივ განვითარების შესახებ გამოიწვია ჩვენს სუბტროპიკებში კოლმეურნეთა და მშრომელი გლეხობის ენტუზიაზმის ახალი აზვირთება, რომელიც, სპეციალისტების დახმარებით, სძლევს ამ ამოცანას.

ახლო მომავალში ციტრუსოვანი ყველა ჩვენგანისათვის ხელმისაწვდომი იქნება:

„ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი აღარ იქნება ფუფუნების საგანი, ისინი მასობრივი კვების საგანი იქნება და ამიერ-კავკასიაში ამ კულტურებზე მუშაობა ფრიად დიდ ამოცანას წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით“...

ლიმონ - მანდარინის ტრესტის ცხრა საბჭოთა მეურნეობა იბრძვის დღეს საქართველოს სუბტროპიკებში ციტრუსოვან კულტურების გეგმის შესასრულებლად. სუბტროპიკების მხოლოდ ერთ რაიონში — აჭარისტანში, ჩვენ ვაქვს ამ კულტურის ზრდის შემდეგი ტემპები: 1928 წ.—50.000 ძირი ციტრუსოვანი, 1929 წ.—65000 ძირი, 1930 წ.—104490 ძირი, 1931 წ.—140000 ძირი.

მიმდინარე 1934 წელს კოლხიდამ საკავშირო სამრეწველო ცენტრებს მისცა 120.000.000 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი. 100.000 ცალი ერთი ჰექტარიდან! კოლხიდა უზრუნველყოფილია მიწის უდიდესი ფონდით ამ კულტურების განვითარებისათვის.

ჩვენი კოლხიდა სრულიად განმარტოებული როდია ამ დიდმნიშვნელოვან დარგში.

ციტრუსოვანების კულტურა ვრცელდება აზერბეიჯანშიც — ლენქორანის რაიონში და კასპიის ზღვის ნაპირებზე — ახტარის მიმართულებით. საკავშირო სუბტროპიკებში ციტრუსოვანებისათვის გამოსადეგი მიწის ფონდის სრული ათვისებით ჩვენ გავუსწრებთ იაპონიას, ბრაზილიას, არგენტინას, ავსტრალიას... მაშინ მსოფლიო ბაზარზე საბჭოთა ციტრუსოვანების პროდუქცია პირველ რიგებში დადგება თავისი ღირსებითაც და რაოდენობითაც...

ციტრუსოვანების წლიური მოსავალი ხუთ მილიარდ ცალამდე გაიზრდება! საქ. კომ. პარტ. მე-9 ყრილობამ საბრძოლო ამოცანა დასახა:

— „მეორე ხუთწლედის ბოლოს ციტრუსოვანთა წლიური მოსავალი უნდა ავიდეს ნახევარ მილიარდ ნაყოფამდე!..“

მეფის რუსეთს ეს ძვირფასი ხილი ყოველწლიურად შემოჰქონდა უცხოეთიდან ხუთი მილიონი ფუთის რაოდენობით მხოლოდ და მხოლოდ მდიდრების და მუქთახორების განცხრომისათვის.

ეს იმპორტი მუშა ხალხის ნაოფლარ 15 მილიონ ოქროს მანეთს ანიავებდა.

საბჭოთა კოლხიდა მოგვცემს ჩვენი ციტრუსოვანების მილიონ და მილიარდ საამო ნაყოფს ჩვენი მშრომელი მასების საჭიროებისათვის, რომელთა შემოქმედებით, ლენინური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით ქვეშ შენდება უკლასო სოციალისტური საზოგადოება.

---

*) კოჟინი—ციტრუსოვანების განვითარება საბჭოთა კავშირში“.

ქუთაისის მშრომელები ემზადებიან რიონჰესის საზეიმო გახსნისათვის

ქუთაისი, 28 ივლისი. ქუთაისის მშრომლები რიონჰესის კოლექტივთან ერთად გაძლიერებით ემზადებიან ჰიდროსადგურის საზეიმო გახსნისათვის 30 ივლისისათვის.

ამ დღეს რიონჰესში ჩამოვლენ მთავრობის და პარტიის წარმომადგენლები, აგრეთვე მუშათა და მშრომელთა მთელი რიგი დელეგაციები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და ადგილებიდან.

ქალაქი და, განსაკუთრებით, ჰიდროსადგური მთელს მანძილზე კაშხალიდან გენერალურ შენობამდე მორთული იქნება, ქალაქის მახლობლად მდებარე მთაზე დადგმულია სამი მძლავრი პროჟექტორი, რომლებიც შუქს მოჰფენენ მთელს ქალაქს.

30 ივლისს რიონჰესელები თავის სტუმრებს წარუდგენენ პატაკს მშენებლობის ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებათა შესახებ. რიონჰესელები მოუთხრობენ მათ სადგურის ოთხივე აგრეგატის საუცხოვო მუშაობის შესახებ, მისი ათი თვის მუშაობის შესახებ, რომლის განმავლობაში სადგურმა საქართველოს სახალხო მეურნეობას უკვე მისცა 67 მილიონი კილოვატსაათი ენერგია.

რიონჰესის სამმართველო 30 ივლისისათვის უშვებს ჟურნალ „რიონჰესს". ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციამ გამოუშვა ბროშურა მასალით რიონჰესზე კომკავშირის მუშაობის შესახებ. გაზეთი „რიონჰესის დამკვრელი" და რაიონული გაზეთი „მუშა და კოლმეურნე" ამზადებენ რიონჰესის ჰიდროსადგურისათვის მიძღვნილ სპეციალურ ნომრებს (ადს).

ახალი ტიპის ავტობუსი გამოუშვა სტალინის სახელობის ავტოქარხანამ მოსკოვში. ავტობუსში დადგმულია საათი და რადიო. ასეთი ავტობუსები გამზადებულია „ინტურისტის" შეკვეთით

26 კომუნართა მონუმენტალური ძეგლი კრასნოვოდსკში

თურქმენისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და თურქმენისტანის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების 10 წლისთავის აღსანიშნავად, მიმდინარე წლის ნოემბერში შესდგება ბაქოს 26 კომისარის მონუმენტალური ძეგლის საფუძვლის ჩაყრა ქალ. კრასნოვოდსკში (თურქმენისტანი).

ძეგლის საფუძვლის ჩაყრაზე მონაწილეობის მისაღებად თურქმენისტანის ცაკმა მიიწვია ამიერ - კავკასიის, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მთავრობებისა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

26 კომისარის ძეგლი იქნება ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტურული ნაგებობა მთელ საბჭოთა კავშირში. ძეგლის მონუმენტალურ ნაგებობაში მოთავსებული იქნება დიდი საჯარო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და ამავე დროს ძეგლი იქნება ყველაზე დიდი შუქურა კასპის ზღვის სანაპიროებზე.

მარგანეცი

26 ივლისს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

[illegible]	[illegible]	%
3.330	3.492	104,9

ვაგონების მიწოდება

ნორმით [illegible]	მიაწოდეს	დაიტვირთა
180	180	180

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის საბავშო ბაგა

ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში საბავშო ბაგა 1931 წლიდან გაიხსნა, რომელიც მოთავსებულია მშრალ და სინათლიან ბინაში: ბაგა მომსახურეობას უწევს 80 ბავშს. აღსანიშნავია, რომ ბაგის შენობა პატარაა, სამრეცხაო მოთავსებულია ბაგის შენობაში, რაც ბინის კიდევ უფრო მეტ სივიწროვეს ქმნის. საჭიროა სამრეცხაოს გამოყოფა და საშრობი ოთახის მოწყობა.

ბაგას არ გააჩნია აგრეთვე ბავშვებისათვის სათამაშო მოედანი. მართალია, განზრახულია, ქარხნის ახლო არსებული ბაღი დაეთმოს საბავშო ბაგას, ეს საკითხი სათანადო ორგანოების წინაშეც კი იყო დასმული, მაგრამ შედეგი დღემდე არ ჩანს.

ტფილისის საბჭომ დროულად უნდა უზრუნველყოს საბავშო ბაგა სათამაშო მოედნით.

ბაგასთან მოწყობილია ცალკე სამზარეულო, შესაფერისი ინვენტარით, რომლის ჰიგიენური პირობები სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. აღსანიშნავია, რომ ბაგისათვის გამოყოფილი საკვები პროდუქტების ხარისხი არა დამაკმაყოფილებელია; ბაგას თვეში გეგმით გათვალისწინებულ 80 კილოგრამი ბურღულის (ბრინჯი, მანიკრუპა და სხვ.) ნაცვლად ეძლევა 8 კილოგრამი, დანარჩენი 72 კილოგრამის ნაცვლად ღებულობს მაკარონს. დაუშვებელია აგრეთვე ისიც, რომ მეორე ცვლის დროს ბავშებს კვებავენ დილით გაკეთებული საჭმლით.

ბაგაში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური რეჟიმი, ბავშები თავიდანვე ეჩვევიან კოლექტიური ცხოვრების წესებს.

საჭიროა ფაბრიკის ადმინისტრაციამ და ორჯონიკიძის რაიონის ჯანმრთელობის [illegible] ყურადღება აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად და შეუქმნან ბაგას მუშაობისათვის ნორმალური პირობები.

მ. ა.

მოზარდ თაობას—კულტურული დასვენება

ზაფხულში დამკვრელ მუშათა და მოსამსახურეთა შვილების კულტურულად დასვენების შესახებ საკავშ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დირექტივის შემდეგ საქართველოს ბავშთა კომუნისტურმა ორგანიზაციამ და განსახკომმა ფართო მასობრივი მუშაობა გაშალეს. ამ მიზნით მოეწყო რესპუბლიკური მნიშვნელობის ბანაკები და ბანაკ-სანატორიუმები, მაგალითად ცემსა და ქობულეთში, სადაც სეზონის განმავლობაში 500 ბავში დაისვენებს. ქვიშხეთში გაშენდა ბავშთა ქალაქი, კაპიტალურად შეკეთდა ძველი ბანაკები და მოეწყო ახალი 4 დიდი ბანაკი სეზონში 1500 ბავშვისთვის. მოეწყო ორი დიდი მექანიზირებული სასადილო და ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა ოთხი ათასი წიგნით. აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებაზე დაიხარჯა 40 ათასი მანეთი. ბავშვთა საზაფხულო კეთილმოწყობილმა ბანაკებმა 20 ივნისს პირველად მიიღეს 840 დამკვრელი პიონერი, გეგმით გათვალისწინებულ 750-ის ნაცვლად.

წინათ ბავშვების დასვენება შედარებით უსისტემო იყო, არ ექცეოდა ყურადღება ბავშვთა პედაგოგიურ აღზრდას და კულტურულ დასვენებას. ამჟამად ეს მდგომარეობა მთლიანად შეცვლილია. ბავშთა ქალაქს თავის ყოველდღიური სამუშაო გეგმა აქვს, შემუშავებულია დღის რეჟიმი, დასვენება ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. საუზმის შემდეგ ბავშვები ფიზიკურად და გონებრივად ვარჯიშობენ, თამაშობენ, ფეხბურთს, კალათბურთს, ჩოგბურთს, ჰადრაკს, შაშს და სხ. კულტურულად დასვენების მოწყობაში პიონერ-რაზმები ეჯიბრებიან ერთიმეორეს, ყოველი დღის ბოლოს აჯამებენ შედეგებს და შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს იღებენ.

ბავშთა კულტურული დასვენების მოწყობამ, გაძლიერებულმა კვებამ, სათუთმა მზრუნველობამ და მოვლამ გამოიწვია ბავშვების გაჯანსაღება, მაგ., პატარა პიონერმა ეთერ კამლაძემ წონაში 1800 გრამი მოიმატა, ჩოგაშვილმა—1700 გრამი, ხოლო 10 წლის ალე ორშაურაშვილმა—1400 გრამი. პატარა დამკვრელებმა თავის მშობლებთან გაგზავნილ წერილში დიდი კმაყოფილება გამოთქვეს ბანაკებით, ისურვეს მისი დიდხანს გაგრძელება; ისინი კოლექტიურ ოჯახში მშობლებისაგან დაშორებას არ გრძნობენ.

ამას გარდა, თუ დღემდე სკოლის ასაკამდე აღზრდის კოოპერაცია ბავშვებს გზავნიდა მხოლოდ საბანაკოდ. მიმდინარე წელს კი მან ქობულეთში, წაღვერში და სურამში ააშენა საკუთარი სტაციონალური დასასვენებელი სახლები და ბანაკები, სადაც გაიგზავნა 750 ბავშვი. მომვლელად გააყოლეს 5 ექიმი, 51 პედაგოგი. ამას გარდა თვითეულ 100 ბავშვზე 30 მომვლელი. აქ ბავშვები დღეში 4 ჯერ იკვებებიან, ისვენებენ კულტურულად.

ლენინკომის პიონერთა მოედანი პლეხანოვის კლუბში. **სურათზე:** პიონერის სიმაღლის გაზომვა

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ასაკამდე აღზრდის კოოპერაციის სანატორიუმებში, ტანსაცმელის გარდა, ყველაფერი სანატორიუმისაა, ასე არ არის პიონერთა ბანაკებში.

ის ბავშვები, რომლებიც დასასვენებლად ქალაქგარედ არ იგზავნებიან, გაერთიანებული არიან ქალაქის სხვადასხვა რაიონის საბავშო ბაღებში. ჯანმრთელობის და განათლების განყოფილებებმა ვერ შეძლეს საკმაო საბავშო მოედნების მოწყობა. ამიტომაა, რომ ტფილისის მასშტაბით საბავშო მოედნებზე და კულტურისა და დასვენების პარკში მოთავსებულია 1,600 ბავშვი, 5 ათასის ნაცვლად.

ესეც არ იყოს, ტფილისში შედარებით ცუდი მდგომარეობაა მოვლა-პატრონობის და კვების მხრივ. ბავშვებს არ ეძლევათ საკმაო ნოყიერი საჭმელი. ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის „ტფილსაზკვების" ბავშვთა მომარაგების განყოფილებას (აღაჯანოვი). საჭიროა ამ დეფექტების აღმოფხვრა.

მართალია, სამხარეო კომიტეტის დირექტივას შედეგად მოყვა ბავშვთა საზაფხულო დასვენების გაუმჯობესება, (ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის გაღებულია ნახევარი მილიონი მანეთი). მაგრამ ამ მხრივ მაინც არსებობს მნიშვნელოვანი დეფექტები. ყველა ბანაკში არ არის მოწესრიგებული მომარაგება. მომარაგების ორგანოები ხშირად თავის დროზე არ აწოდებენ პროდუქტებს. საერთოდ კი ისეთი პროდუქტებს, როგორიც არის ხორცი და სხვ., კერძო ბაზარზე, იძენენ, რაც დიდძალ ხარჯს იწვევს.

ნაკლია აგრეთვე ის, რომ პიონერთა ბანაკები არ არიან უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის საწოლებით, ლეიბებით და საბნებით, თვით ბავშვებს უხდებათ ბანაკობის დროს ქვეშსაგების წაღება.

ამასთან ბანაკებს არ აქვთ აბანოები (ქვიშხეთში აბანო ამ დღეებში აიგება), რაც დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს. მშრომელთა შვილებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნამდვილი კულტურული დასვენება.

მ. ა—ძე.

მეცნიერება და ტექნიკა

სტრატოპლანის ახალი პროექტი

ფრანგმა ავიოკონსტრუქტორმა რენე **კუზინემ დაამუშავა ახალი სწრაფმავალი სტრატოპლანის პროექტი.** ისპანო-სიუიზას ფირმამ ამ სტრატოპლანისათვის დაამზადა სპეციალური მოტორი, რომელიც დიდი სიმძლავრით მუშაობს 11-13 კილომეტრის სიმაღლეზე. სპეციალური პროპელერის გამოყენებამ უნდა უზრუნველჰყოს სათანადო წევა გაიშვიათებულ ჰაერში. სტრატოპლანის კაბინა წარმოადგენს ჰერმეტიულად დახურულ ცილინდრს.

ყველა დეტალებს, რომლებიც თვით მანქანის სტრუქტურას შეეხება, საფრანგეთის სავიაციო სამინისტრო საიდუმლოდ ინახავს. სტრატოპლანის საპროექტო სისწრაფე 11 კილომეტრის სიმაღლეზე — 400 კილომეტრი საათში; მაქსიმალური სიმაღლე, რომლის მიღწევა შეუძლია სტრატოპლანს — 14-15 კილომეტრი. მანძილი პარიზ-ნიუ-იორკს შორის სტრატოპლანმა უნდა გაიაროს 15-17 საათში.

კუზინეს გამოანგარიშებით შემდეგში მისი სტრატოპლანი შესძლებს განავითაროს 1.000 კილომეტრის სისწრაფე საათში, თუმცა ამგვარი სისწრაფის მიღწევა მოითხოვს შემდგომ საფუძვლიან გამოკვლევებს.

საბჭოთა ელექტრონოგრაფი

ლენინგრადის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში დამზადებულია ელექტრონოგრაფი, რომელიც არ ჩამოუვარდება უცხოეთის საუკეთესო ნიმუშებს. ელექტრონები, რომლებიც გამოიტყორცნება გავარვარებულ ვოლფრამის კატოდიდან, მძლავრ ელექტრონულ არეში კიდევ უფრო მეტ სისწრაფეს იძენენ, გაივლიან ორ დიაფრაგმაში და შემდეგ ეცემიან გამოსაკვლევ ნივთიერებაზე. ცდის პირობების მიხედვით ელექტრონების ნაკადს ან ატარებენ გამოსაკვლევი ნივთიერების თხელ ფენაში ან იწვევენ მის ანრეკვას ნივთიერების ზედაპირიდან და ამ შემთხვევაში ფოტოფირფიტაზე იღებენ დიფრაქციულ სურათზე. ელექტრონოგრაფის მუშაობის პროცესში მასში დაცული უნდა იქნას მაღალი ვაკუუმი.

აპარატი აფეთქების ფოტოგრაფიისათვის

ლენინგრადის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში დამზადებულია ორი ტიპის აპარატურა სხვადასხვა აირთა რევნარის წვის შესასწავლად ფოტოგრაფიული გზით. რევნარს ათავსებენ ჭურჭელში, რომელსაც კედლებზე აქვს რამდენიმე ნახვრეტი, დახურული მინით. ალის გავრცელება გადაიღება მბრუნავ დოლზე დახვეულ ბრკეზე (**пленка**).

დამზადებულია ორი ტიპის აპარატი. პირველი ტიპის აპარატი შესდგება თითბრის დოლიდან, რომელიც ბრუნავს ელექტრომოტორის საშვალებით. ბრუნვის სისწრაფის მოწესრიგება ხდება სიჩქარის კოლოფის და რეოსტატის საშვალებით. დოლის მაქსიმალური წრიული სისწრაფე (მაშასადამე, ბრკესთვისაც) უდრის 120 მეტრს წამში.

მეორე ტიპის აპარატს აქვს დიურალიუმინის დოლი, რომელიც ელექტრომოტორიდან სფერიული ფრიქციონის საშვალებით ბრუნავს 16.000 მობრუნების სისწრაფით წუთში, რაც უდრის დოლის წრიულ სისწრაფეს 120 მეტრს წამში.

კოსმიური სხივები და სიცოცხლე

იტალიელმა ბიოფიზიკოსმა ვინჩენცა **რივერამ** ჩაატარა მთელი რიგი ცდები იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას ახდენენ კოსმიური სხივები ცოცხალი ორგანიზმების განვითარებაზე. კასტელგონდონფოს ტბაში (რომის ახლო) 170 მეტრის სიღრმეზე მოთავსებული იქნა კამერა მცენარეული თესლეულით. მაშასადამე, კოსმიურ სხივებისათვის შექმნილი იყო ზღუდე 170 მეტრის სისქე წყლის ფენიდან. წინასწარი ცნობებით, ამ პირობებში თესლის აღმოცენება უკეთესად ხდებოდა, ვიდრე დედამიწის ზედაპირზე.

ულტრა-კოსმიური სხივების აღმოჩენა

ყველაზე უფრო გამტარი კოსმიური სხივები (30 მილიარდამდე ელექტრონ-ვოლტის ენერგიით), რომლებიც აღმოაჩინა გერმანელმა სწავლულმა **რეგენერმა** მთლიანად შთაინთქმება წყალქვეშ 230 მეტრის სიღრმეზე. კოსმიური სხივების გაცნობისათვის ეს სიღრმე აქამდე ითვლებოდა ზღვარულად.

კოსმიური სხივების ცნობილი მკვლევარი **კოლხერსტერი** ახლა იუწყება, რომ მის მიერ აღმოჩენილია ორი სახის კოსმიური გამოსხივება. ეს გამოსხივებანი ატანენ დედამიწაში ისეთ სიღრმეზე, რომელიც ეთანაბრება 500 და 1.000 მეტრი სისქე წყლის ფენას.

კოლხერსტერი თავის გამოკვლევებს ატარებდა სტასფურტის ცნობილ მარილის მაღაროებში.

ენერგია, რომელიც ამ გამოსხივების ულტრამაგარ ნაწილს მოაქვს, აღემატება 100 მილიარდ ვოლტს.

ხანძრისაგან დაცვის ერთთვიური

აგვისტოს შუა რიცხვებიდან რესპუბლიკაში იწყება ხანძრის საწინააღმდეგო ერთთვიურის ჩატარება. ერთთვიურის განმავლობაში შეამოწმებენ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ფაბრიკა - ქარხნებს, დაწესებულებებს და საცხოვრებელ ბინებს ხანძართან ბრძოლისათვის მათი მზადყოფნის გამორკვევის მიზნით.

სოფლებში კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ჩამოყალიბდება ხანძართან ბრძოლის მოხალისეთა რაზმები. ასეთივე რაზმები ჩამოყალიბდება ფაბრიკა-ქარხნებთან. საბინაო ამხანაგობებს დავალებული აქვთ მოაწყონ მობინადრეთა კრებები და ჩაატარონ საუბრები ხანძრის გაჩენის თავიდან ასაცილებელი ზომების შესახებ.

ტფილისში ხანძრის საწინააღმდეგო ერთთვიური ჩატარდება 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე.

საქვაჭრობამ გახსნა საჩვენებელი მაღაზია

ტფილისში პლეხანოვის პროსპექტზე საქკვებვაჭრობამ გახსნა ახალი მაღაზია საგალანტერიო, ხილეულობის და საკონდიტრო საქონლის განყოფილებებით. აღნიშნული მაღაზია პირველია ტფილისში, რომელიც აკმაყოფილებს კულტურული ვაჭრობის ყველა წესებს. სურსათი დაცულია მტვრისაგან, ხორცეული გახვეულია ტყავის ქაღალდში. კედლები, თაროები და დახლები მოწყობილია მინებით. მაღაზიასთან მოწყობილია სამზარეულო ახალ-ახალი საჭმლების დასამზადებლად. თვით მაღაზიაში მომხმარებლებისათვის დადგმულია დასასვენებელი სავარძლები, მოწყობილია გაზონები და სხვ.

გარდა ვაჭრობის კულტურულად წარმოებისა, მაღაზიაში საქონლის ფასები საერთო ფასებთან გაცილებით დაბალია.

საქკვებვაჭრობის მაღაზია № 2-ში ვაჭრობა წარმოებს „ნორმალურად, სწრაფად

ორჯონიკიძის რაიონის პიონერები

აბარებენ ნორმას — მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის

ორჯონიკიძის რაიონის საბავშვო მოედანი ვოროშილოვის სახელობის კლუბში, მომსახურეობას უწევს ზაფხულის განმავლობაში ქალაქში დარჩენილ პიონერებს და მოწაფეებს. მოედანზე გაშლილია ფიზკულტურული მუშაობა. 228 პიონერი ყოველ დილით ეწევა ვარჯიშობას და მეცადინეობს ფიზკულტურაში. 50 ბავშვი 13-დან 15 წლამდე, რომელთა შორის 30 ქალიშვილია, ჩაებენ შეჯიბრებაში ნორმის ჩასაბარებლად — მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის.

სურათზე: ნორმის მასობრივი ჩაბარება სირბილში.

სასამართლო

როგორ დასრულდა „სიღნაღელი ყარაჩოღელის" კარიერა

სიღნაღის რაიონში მისი სახელი ყუმბარასავით გავარდა.

შეიძლება არა სიღნაღელმა მკითხველმა არ იცოდეს ვინ არის გიორგი ყარაჩოღელი, მაგრამ სიღნაღელებს დღემდე მისი სახელი ენაზე აკერიათ.

მოქეიფენი პურს ისე არ გასტეხდენ, რომ გიორგის მარიფათი არ ეხსენებიათ.

— ვარგებულია, კოჩაღია, მუშაობს ენერგიულად... რა ვუყოთ, რომ ქეიფი უყვარს... მისი ნაოფლარით ქეიფობს, — ამბობდენ ისინი, რომელთაც ხშირად მიუღიათ პურმარილი გიორგის სუფრაზე.

— დიდი ჟულიკია, დიდი გაიძვერა... ვაჭრის შვილი რას გაუშვებს თუ სადმე „ხელის ჭუჭყს" მიაგნო! ფინაგენტია მეტი ხომ არაფერი?.. რამდენი ექნება ჯამაგირი? ერთ სუფრაზე სამას მანეთს რომ იხდის დანახარჯს. საიდან? — ლაპარაკობდენ სიღნაღელ მოქალაქეთა იმ ფენაში, რომელიც შორიდან უყურებდა გიორგი ყარაჩოღელის გაშლილ ქეიფს.

ხშირი იყო დღე, როცა გიორგის სუფრას უსხდენ სიღნაღის რაიონის მეტად დამსახურებული „ტუზები" და იცლებოდა მაღალი და გონიერი სასმისები გიორგის, როგორც სიღნაღის რაიონის ერთადერთი გულშემატკივარის და თვალსაჩინო მუშაკის სადღეგრძელოდ.

ხშირი იყო დღე, როცა გიორგი ყარაჩოღელი რამდენიმე ეტლს ერთად დაიქირავებდა დამკვრელებითურთ, წაასხამდა წნორის მიმართულებით თავის ამქრებს, იმართებოდა ღრეობა, იმართებოდა დებოში, გიორგი ყარაჩოღელი სარგებლობდა შუამავლობის უფლებით, როგორც სიღნაღის ქალაქის საბჭოს ფინაგენტი.

გამოერეოდა ისეთი დღეებიც, როცა მას ფული შემოაკლდებოდა ნახარჯის გასასტუმრებლად, მაგრამ სჭრიდა ბრძანება: „ჩემზე იყოს".

იყო ისეთი დღეებიც, რომ სიტყვებს: „ჩემზე იყოს" აღარ ჰქონდა ძალა და ნაღდ ფულს დაჟინებით მოითხოვდენ ჯიუტი ოფიციანტები.

მაგრამ არასოდეს გიორგი შერცხვენილი არ გამოსულა. თუ ფული მიაკლდებოდა, „ნატურით" აანაზღაურებდა. „ნატურა" კი მოსახლეობიდან აკრეფილი გადასახადის ანგარიშში მრავლად ელაგა მის ბინაში.

გიორგი ქეიფობს პენსიონერების სასადილოში. გაშლილ სუფრასთან სხედან „ძმა-ბიჭები". გიორგის ლიმიტი ამოიწურა... შეუწყვიტეს კრედიტი... გაბრაზდა ყარაჩოღელი, დასტოვა სუფრა და თვალის დახამხამებაში სასადილოში შემოიტანა და გამგის ფეხქვეშ დაგდო ვეებერთელა ხალიჩა.

არ იკითხავთ საიდან ქონდა მას ეს ხალიჩა? ხალიჩა გიორგიმ, როგორც ფინაგენტმა, გადასახადის ანგარიშში წაართვა გლეხს.

ვინ მოთვლის რამდენჯერ დაუგირავებია სასადილოში გიორგი ყარაჩოღელს ეს ხალიჩა.

და ასე მიდიოდა დაუსრულებელ ქეიფსა და დროს ტარებაში ფინაგენტ გიორგი ქევხიევის, იგივე გიორგი ყარაჩოღელის დღენი.

სად არის ახლა გიორგი ყარაჩოღელი?

დღეს აღარ ისმის გიორგის შემოძახილი და დაფა-ზურნის ხმები. საბრალმდებლო დასკვნამ მას ასეთი ატესტატი მისცა: „გიორგი ვანოს-ძე ქევხიევს, 32 წლისას, ცოლშვილიანს, უპარტიოს, პასუხისგებაში ნამყოფს ორჯერ, მცხოვრებს ქალ. სიღნაღში, ყოფილ ვაჭრის შვილს ბრალი ედება მასში, რომ მსახურობდა რა ქ. სიღნაღის რაისაბჭოს ფინაგენტის თანამდებობაზე მიითვისა და გაფლანგა 12.547 მანეთი" და სხვ...

საქ. უზენაესმა სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით მას გამოუტანა ასეთი განაჩენი: თავისუფლების აღკვეთა ათი წლით შორეულ შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით, ქონების კონფისკაცია და მთელი გაფლანგული თანხის ანაზღაურებით.

ასე დასრულდა სიღნაღელი ყარაჩოღელი ფინაგენტის გიორგი ქევხიევის კარიერა.

გერ.

მუშათა კლუბებსა და ბაღებში

ვოროშილოვის სახ. კლუბში — აღმოსავლური სიმღერების დიდი საღამო-კონცერტი სურია კაჯარის მონაწილეობით.

#

წითელი არმიის ბაღში — კონცერტი რასკაზოვას და ჩინეთის ატრაქციონის სიუ-ლის მონაწილეობით.

#

ძერჟინსკის სახ. ბაღში (ყოფ. სტელა) — განმეორებით მხიარული ოპერეტა „ნიტუში".

#

სტალინის სახ. კლუბში — ღია ესტრადაზე დიდი საღამო. კინოში — „საფურ საფლავი".

5 მილიონი მანეთი სასკოლო მშენებლობისთვის

მიმდინარე წელს საქ. განსახკომი 11 რაიონში (მარტვილი, ტოლოში, მესტია, ასპინძა, გორი, ოზურგეთი და სხ.) ააშენებს ახალს და ამასთანავე გადააკეთებს ყოფილ შვიდწლედის რამდენიმე შენობას საშუალო ტიპის სკოლებისათვის (ათწლედები და ტექნიკუმები).

ამ სამუშაოების შესასრულებლად სულ გადადებულია 5 მილიონი მანეთი. თვითეულ ობიექტზე თანასწორად დაიხარჯება 450.000 მანეთი.

ახალ სკოლა სარვანში

სოფ. სარვანში (ბორჩალოს რაიონი) მთავრდება 1932 წელში დაწყებული სკოლის (პედტექნიკუმის) მშენებლობა, რისთვისაც განსახკომმა გადასდო 450.000 მანეთი.

სკოლა შესდგება 22 ოთახისაგან. მასში მოთავსდება სასწავლო კაბინეტები, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ელექტრო და სხვა ლაბორატორიები, კლუბი, სამკითხველო-ბიბლიოთეკა, სპორტ-დარბაზი და სასადილო. ტექნიკუმს ექნება დიდი ეზო ბაღით, საცდელ-საჩვენებელი სანერგე და ბოსტანი.

პედ-ტექნიკუმის სახლის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის სექტემბერში.

ზესტაფონში შენდება დიდი თეატრი

ზესტაფონში შენდება თეატრი, რომელიც რესპუბლიკაში მეორე ადგილს დაიკავებს რუსთაველის თეატრის შემდეგ.

სამზადისი თეატრის მშენებლობისათვის გასული წლის ნოემბერში დაიწყო. თეატრის მშენებლობას ხელმძღვანელობს სპეციალური კომიტეტი ზესტაფონის რაიკომის მდივნის ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით.

თეატრი შენდება ადგილობრივი ორგანიზაციების და რაიონის მშრომელთა ფართო მონაწილეობით. უკვე შეგროვილია 180.000 მანეთი. თეატრის მშენებლობა დაწყებულია და უნდა დამთავრდეს 1936 წელს. წელს მშენებლობაზე დაიხარჯება 400.000 მანეთი.

მშენებლობისათვის უკვე მზადაა: 8.000 ცალი აგური, 10 ვაგონი კირი, 100 კუბიკური მეტრი ხის მასალა, 250 კუბიკური მეტრი ქვა და 60 ფუთი ლურსმანი. თეატრის მშენებლობა დაჯდება 1.300 ათასი მანეთი.

თეატრი შენდება ხ. ახმეტელის კონსულტაციით, პროექტი დამტკიცებულია საქ. სახკომსაბჭოს მიერ. მშენებლობას აწარმოებს საქ. სახმშენი ინჟინერ სულავას ხელმძღვანელობით. თეატრი დაიტევს 600 მაყურებელს.

ახალი წიგნები

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ივნისში გამოუშვა შემდეგი წიგნები:

1. პროფ. გ. თავზარაშვილი—საბჭოთა პედოლოგიის ისტორიისათვის, ფასი 2 მან.
2. ბაბილონის მეფის ხამურაპის კანონები, პროფ. ალ. წერეთლის რედაქციით — ფასი 3—50 კ.
3. პროფ. გ. ჯავახიშვილი—ზოოლოგია. სისტემატიკა და ფილოგენია ფ. 15 მან.
4. ავტორთა ჯგუფი — მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, (მარისადმი მიძღვნილი კრებული), ფ. 15 მან.
5. დოც. ალ. ბარამიძე—ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე, ფ. 1 მან. 70 კაპ.
6. პროფ. ლ. გოკიელი — სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, ფ. 5 მ.
7. მენდელეევის სისტემა (ელემენტთა, პერიოდ. სისტემა), ფ. 2 მან.
8. მენდელეევის სისტემა (ჯგუფების და მწკრივების მიხედვით), ფ. 1 მან.
9. მეთოდიური კრებული—ფ. 2 მან.

ჟურნალი „დროშა"

№ 11—12

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „დროშის" მორიგი ნომერი (11-12) შემდეგი შინაარსით: **ა. არსენიშვილი** — ალმავალი შემოქმედება, **ს. ჩიქოვანი** — თქმულება ამირანზე, **ლ. ასათიანი** — ახალი მუხრანი, **შ. დადიანი** — ბაჟი, **მ. პატარიძე** — გაზაფხული, **ა. ბელიაშვილი** — გამხმარი ნაყოფი, **ალ. სულავა** — ა. ქუთათელის „პირის-პირის" შესახებ, **დ-ტო** — ჩვენი სცენის ოსტატი, **კ. მიქელაძე** — ორი არწივი, **მ. დუდუჩავა** — მოსე ჯანაშვილი. ჟურნალში მოთავსებულია სურათები ა.-კ. ოლიმპიადის, რუსთაველის თეატრის იუბილეს და მხატვართა ნაწარმოებების გამოფენის შესახებ.

ოქტომბერი 9. 10-45	სათავგადასავლო ფილმი **„მისს-მენდი"** მე-3-ე სერია.
დამკვრელი საზაფხ. 9. 11	ახალი მხატვრ. ფილმი **„ბიქორი"** პროგრამის გარ. ს. ქ. ჟ. № 12
დამკვრელი საზამთ. 6-30, 8, 9-30, 11 ფოიეში ჯაზი	
ეთერი საზაფხ. 9. 11	საზღვარგარეთული ფილმი **„ელლა დონნა"**
ტემპი (საზაფხ.) 9. 11.	ახალი მხატვრული ფილმი **„ჯ ო უ"**
„26"-ის სახ. სეანს. 9. 11.	მხატვრული კომედია **„საფურ-საფლავი"**
რ. ლიუქსემბურგის სახელობის სეანს 7. 9. 11	ხმოვ. მხატ. ფილმი **შ ე მ ხ ვ ე დ რ ი** პროგრ. გარეშე „ჩელუსკინი"
„კომინტერნი" საზაფ. დილიდან 11	მხატვრული ფილმი **„ა ნ უ შ ი"**

რიონჰესის გახსნის ზეიმზე ქუთაისში მიმავალი მუშათა დელეგაციებისა და პირების საყურადღებოდ

რიონჰესის საზეიმო გახსნაზე მიმავალ მუშათა დელეგაციებს და პერსონალურად მიწვეულ პირთ შეუძლიათ გაემგზავრონ ქუთაისში სპეციალური მატარებლით რომელიც გადის ტფილისიდან ივლისის 29-ს 23 საათსა და 15 წამზე მოსკოვის დროით ტფილისის ვაგზლიდან.

აღნიშნულმა დელეგაციებმა და პირებმა სამგზავრო ბილეთებისათვის უნდა მიმართონ ივლისის 29-ს 19 საათიდან 21 საათამდე მოსკოვის დროით გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების მორიგ კომენდანტს ამხ. ზეიცს (ვოკზლის საპარადო ოთახი).

სპეციალური მატარებლის ბილეთის მიღებისათვის წარდგენილ უნდა იქნეს მისაწვევი ბარათი ან სადელეგატო მოწმობა.

იკითხეთ და გაავრცელეთ

„კოლექტივიზაცია"

სახელმძღვანელო წერილები, მხატვრული ნარკვევები, პატ. ფელეტონები, იურიდიული კონსულტაცია სოფლის საკითხებზე, საერთაშორისო მიმოხილვები

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს ჩამორჩენილებს და სუსტებს ელემენტარულ და უმაღლეს მათემატიკაში ყველა ტიპის სკოლებისათვის.

გრიბოედოვის ქ. № 5. ნახვა 10—12 და 5—8.

4105

ექ. გ. დილბანიძე

სპეც. შარდ-სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი, და სქესობრივი უძლურების მკურნალობა

მიღ. დილით 9—10 ს. ნაშ. 6—8 ს. საათამდე თეატრალური შეს. № 13 ტფ. სახ. ოპერის თეატრის კვერდით

იკითხეთ და გაავრცელეთ ყოველდღიური გაზეთი

ახალგაზრდა კომუნისტი

ფასი:
1 თვით — 1მ. 25კ.
6 თვით — 7მ. 50კ.
1 წლით — 15მ.

დაიკარგა პასპორტი იოსებ გრიგოლის-ძე ტიტვინიძის სახელზე. ჰ. გ. 4547

დაკარგულია წალენჯიხის რაიონის სოფ. [illegible]ლის სასოფლო საბჭოს რგვალი ლერბიანი ბეჭედი ჰ. გ. 4554

დაიკარგა კოლ-ახსკოლის დამთავრების მოწმობა გიორგი გიგოლაშვილის სახელზე, ჰ. გ. 4548

დამწუხრებულნი შვილიშვილები: ქეთო, მარგო ქმრებით ალიოშათი და საშათი, რუსიკო, ავთანდილი და ჯუანშერი იუწყებიან ძვირფასი ბებიას

ნინა ალექსანდრეს-ასული ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება მოსკოვის ქ. № 30 საღ. 6 ს.

ღრმად დამწუხრებული თამარა, რურია, კოტიკო ჩხეიძეები, დიმა დადიანი, საშურა გამყრელიძე, მერი ჯავახიშვილი იუწყებიან, რომ 26 ივლისს მძიმე ავადმყოფობით უდროოდ გარდაიცვალა

ლენა ვიაჩესლავის ასული ჩხეიძე.

დაკრძალვა 31 ივლისს, სოფ. დარკვეთში. ქვ. 4543

დამწუხრებული მშობლები მერი, კონსტანტინე, ბებია კატო ჩხიკვიშვილები, ბებია ანა, ბაბუა ანდრია სრესელები ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს

პატარა შუქურის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ქ. სამტრედიაში 29 ივლისს, 4 საათზე ორპირის ქ. № 18. ქვ. 4552

გულმოკლული დედა მართა, ცოლი, ტასო, ძმა ნესტორი, ცოლშვილით ანდღულაძეები იუწყებიან, რომ 7 აგვისტოს ძმითში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ

დათიკო გიორგის-ძე ანდღულაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ქვ. 4551

დამწუხრებულნი ვლადიმერ აბესაძე ცოლით ივლიანა, შვილებით, მაშა, შალვა, თამარა იუწყებიან ძვირფასი სიძის შალვას უსაყვარლესი ძმის სას.-სამ. ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტ

გიორგი ნოეს-ძე ლეჟავას

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ბორჯომში. ქვ. 4550

უახლოესი მეგობარი არმენაკ აივაზოვი დედით, ძმებით და დებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს საყვარელი მეგობრის

არტაშა საამოვის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 30 ივლისს 6 ს. 4558

სამუდამოდ გაუბედურებული დედა შუშანა, ძმა ჟორა, და მარგო გლოვობენ უდროოდ დაკარგულ, საყვარელ

არტაშა საამოვის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 29 ივლისს, საღ. 6 ს. ანტონოვის ქ. 82. გამოსვენება 30 ივლისს 4 ს.

ძველ ბოლშევიკთა საზ-ბის ბიურო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საზ-ბის წევრის ამხ. ნოე ლეჟავას ვაჟის

გოგია ლეჟავას

გარდაცვალების გამო 4559

დამწუხრებული ქმარი გრიგოლ ანდღულაძე, შვილი ჟორინა, დედა ივდითი, დები: ნინა, თამარი, ძმა ბიჭიკო, ბიძაშვილი ვანო, სიძე რუბენ ქურციკიძე იუწყებიან დაუვიწყარ

პატიკო დალაქიშვილი-ანდღულაძის

უდროოდ გარდაცვალებას ან. 450

უახლოესი მეგობრები: გ. გოგიშვილი, ბ. ხარაზიშვილი, გ. ნადირაძე, ს. გოგიშვილი, პ. რცხილაძე, გ. მაზანაშვილი, ა. მჭარიაშვილი, დ. ნაბორიშვილი, ნ. ბიწკინაშვილი აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს მათთვის დაუვიწყარ

ალექსანდრე ივანეს-ძე კობერიძის

უდროვოდ დაღუპვას. დაკრძალვა ს. შაშიანში 29 ივლისს 4539

შვილები: ბარნაბ, ვანო, კალისტრატე ოჯახებით და გაზრდილი გოგია მწუხარებით იუწყებიან საყვარელ დედის

სოფიო გიგოს-ას. მაქალუას

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს ს. იწერში 4529

სიძე სევერიან ყაველაშვილი ცოლით ლიათი და შვილებით იუწყებიან, რომ 30 ივლისს 6-ნახევარ საათზე ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება მუდამ დაუვიწყარი

აქსენტი ივანეს-ძე ქელბაქიანის

სამოქალაქო პანაშვიდი 4537

მშობლები: ვიაჩესლავი, თამარი, ძმები: რიურიკი, კოტიკო, მამიდა გულჩინა, ბიძა ევსევი, ბიცოლა მარგარიტა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი

ელენე (ლენა) ჩხეიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დარკვეთი 31 ივლისს ან. 449

ჰიდრო-ელექტრო პროექტის ტრესტის საქართველოს განყოფილების ადმინისტრაცია იუწყება ინჟინერ-გეოლოგის

დავით დავითის-ძე ჟავრიშვილის

უდროოდ დაღუპვას, სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. დაკრძალვა 30 ივლისს 4 ს. ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება ანანურის ქ. № 5. ქვ. 4532

მეგობრები: ლ. ცაგარელი, ე. გელეყვა, გ. წურწუმია, ი. კალანდარიშვილი, მ. ფარადაშვილი, ნ. საყვარელიძე, ს. სოკოლოვი, ტ. გვერდწითელი, კ. ჯიბლაძე, მ. ნიკოგოსოვა, ტ. ტატეოსიანი, ზ. მუსაილოვი, ს. მენზონი, გ. ხახანოვი, უცხადებენ თანაგრძნობას მაქალუას, მისი დედის

სოფიო გიგოს ასული მაქალუას

გარდაცვალების გამო. ქვ. 4553

ქეთო ჩიკვაიძე, მერი და თინა უზნაძეები, გიგლა ჰირაძე, ილიკო ფანცულაია, ვანიჩკა ლორთქიფანიძე, სიმონ კვანტალიანი იზიარებენ მეგობარ კალეს მწუხარებას მისი დედის

სოფიო გიგოს ასული მაქალუას

გარდაცვალების გამო. ქვ. 4545

ლეონტი, ჯავახა, ენუქი, მანუჩარ ოჯახებით, თოფვა, შოთა კოლია გუგუშვილები მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

სოფიო დანელია—მაქალუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ივლისს სოფ. იწერში. ქვ. 4536

მამა დარისპანი, ძმა გრიგოლი ბიძები რაჟდენ, სანდრო, ლავრენტი ცუცქირიძეები ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ

ე დ ვ ი ნ ი ს

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. სვერში 29 ივლისს. ქვ. 4540

ბორისი, გოგონა ფურცხვანიძეები იუწყებიან, რომ 30 ივლისს საღამოს 7 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ დედის

ლილლოსი ივანეს ასულ ფურცხვანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ქვ. 4546

თავზარდაცემული მშობლები ალიოშა და ნინა, ბაბუა გრიგოლი, ბებია ესმა მთელი ოჯახით იუწყებიან

პატარა ჟანიკო ჟელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ვერის სასაფლაოზე გამოსვენება გოგებაშვილის მეორე გასავალი № 20 5 ს. ქვ. 4538

საქ. ჰიდროელპროექტის ტრესტის თანამშრომლები: ვ. გაბუნია, ე. ცერცვაძე, ნ. ყიფიანი, მ. ჯანაშია, გ. ბოლქვაძე, ბ. გასვიანი, ვ. დავითაშვილი, პ. თევზაძე, მ. სესიაშვილი მწუხარებით იუწყებიან ინჟინერ-გეოლოგის

დავით დავითის-ძე ჟავრიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 ივლისს ვერის სასაფლაოზე. ქვ. 4542

საქჰიდროპროექტის ტრესტის თანამშრომლები: ა. ჩიქოვანი, შ. ცაგარელი, კ. გაბრიჩიძე, ქ. დათეშიძე, კ. ჰეიშვილი, ა. ჯაფარიძე, გ. ჯიშელეიშვილი, ი. ქურდიანი, დ. გუნცაძე, მწუხარებით იუწყებიან ინჟინერ-გეოლოგის

დავით დავითის-ძე ჟავრიშვილის

უდროოდ დაღუპვას. დაკრძალვა 30 ივლისს, ვერის სასაფლაოზე ქვ. 4542

ტრამვაის თანამშრომლები თ. ლეჟავა, ნ. კეკელია, თ. ღლონტი, მ. მეშელაძე, მ. მესხი, რ. ჭელიძე, ნ. ჯორბენაძე, ვ. ვაშაკიძე, ვ. დავითაშვილი, კ. დანელია, გ. დათაძე, ვ. მექვაბიშვილი, ბ. ნუცუბიძე, თ. თურქაძე, პ. ჯაფარიძე, ნ. ხოფერია, ვ. ღლონტი იუწყებიან ბ. კვირკველიას შვილის

ვ ა ლ ი კ ო ს

უდროოდ დაკარგვას. ქვ. 4541

დამწუხრებულნი მშობლები: ნოე, სონა ლეჟავა, შვილებით, ეთერი, შალვა ცოლშვილით იუწყებიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის საყვარელი

გიორგი ნოეს-ძე ლეჟავას

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 30 ივლისს, 5 ს. ბაქოს ქ. 2. ქვ. 4549

ეკატერინე გორდაძისა ვაჟით, მარიამ ბაქრაძისა შვილებით, ნუცა ერისთავისა ქოიძისა, შვილებით; ნუცა ერისთავისა

ლილლოსი ივანეს ასული ფურცხვანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად ვერის სასაფლაოზე 30 ივლისს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. ქვ. 4544

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული: 561